პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 სექტემბერი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 206 (15419)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეს დღეები სოფლად



## ხვნას შეუდგნენ



ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობაში ყოველ წელს მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს იღებენ.

კოლმეურნეობაში უკვე დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება-დაბინავება, ამჟამად მომავალი წლის უხვ მოსავალს უყრიან საფუძველს, ზემომაჩხაანელებმა რაიონში პირველებმა დაიწყეს საშემოდგომო ხვნა. გადაწყვიტეს შემოდგომით ხორბალი დათესონ 18.540 ჰექტარზე.

ხვნის დაწყების პირველი დღიდან კარგად მუშაობს ტრაქტორისტი ა. საბიაშვილი, რომელიც ყოველდღე ხნავს 10-12 ჰექტარს ნაცვლად 7 ჰექტარისა.

სურათებზე: ზემოთ — საშემოდგომო ხვნა; ქვემოთ — მოწინავე ტრაქტორისტი ა. საბიაშვილი.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოთა კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების მოცულობის გადიდებისათვის, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შესაბამის წინა პერიოდებთან შედარებით 1971 წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ საქონლის გამოშვება გადიდდა.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ამ საქონლის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა არ შესრულებულა. დადგენილებით გათვალისწინებული 47 ძირითადი სახეობის საქონლიდან დავალება არ შესრულებულა 25 სახეობაში. მარტო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოების დარგში მოსახლეობას დააკლდა 4,7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოები. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა და სახელმწიფოს 32 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი დააკლო მსუბუქი მრეწველობის სისტემის 16 საწარმომ. ყველაზე ჩამორჩენილთა შორის არიან გორის ბამბეულის კომბინატის, თბილისის აბრეშუმისა და ქუთაისის ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანებანი და სხვ.

პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა არ შეუსრულებია რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 31 საწარმოს, ხოლო ამ სისტემის 42 საწარმომ ჩაფუშა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის გამოშვების გეგმის შესრულება და სახელმწიფოს დააკლო 2,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ თბილისის კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საწარმოები, თერჯოლის რაიონული სამრეწველო კომბინატი, ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატი. დადგენილებით გათვალისწინებული 20 სახეობის ნაწარმიდან დავალება არ შესრულებულა 11 სახეობაში. არსებულ შესაძლებლობათა მიუხედავად, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო წლითიწლობით არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მასობრივი მოთხოვნილების საქონლის, განსაკუთრებით სამეურნეო ინვენტარის წარმოების გასაფართოებლად.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების გადიდების შესაძლებლობებს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები. ცალკეული საწარმოებისათვის დაწესებულ ამ საქონლის წარმოების გეგმა დადგენილებით გათვალისწინებულ მოცულობაზე ნაკლებია. მაგალითად, ამ საქონლის წარმოების გეგმა შეუმცირდათ „ელექტროხელსაწყოს“, საყოფაცხოვრებო მანქანების „თბილხელსაწყოს“ ქარხნებს, მიუხედავად აშკარად შემცირებული გეგმებისა, აღნიშნული საწარმოები სისტემატურად ფუშავენ მათ შესრულებას. კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის გამოშვების 1972 წლის პირველი ნახევრის გეგმები არ შეუსრულებიათ მძიმე მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროთა საწარმოებს. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ბათუმის გემთსამშენებლო ქარხანაში, ფოთის ელექტრომანქანურ გამაძლიერებელთა ქარხანაში, თბილისის ქარხანა „ელექტროძრავში“, საქართველოს მეორადი ფერადი ლითონების სამმართველოში. მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების დავალებანი არ შეუსრულებიათ აგრეთვე თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატსა“ და თბილისის ელექტრონულ-გამოსათვლელი აპარატურის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას საერთოდ არ მოუგვარებია მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვება.

მნიშვნელოვნად დააკლეს დადგენილებით გათვალისწინებული მასობრივი მოთხოვნილების ცალკეული საქონლის გამოშვების გეგმის შესრულებას სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებების, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და თეატრალური საზოგადოებების და სხვა საწარმოებმა.

ნელი ტემპებით მიმდინარეობს ახალი საწარმოების მშენებლობა, მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა რეკონსტრუქცია და გაფართოება. გრძელდება ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაწესებული ვადების დარღვევითა და ხარვეზებით. მაგალითად, თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკა 1969 წლის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 1971 წლის დამლევს; ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ნაწარმის ფაბრიკის მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა; ჭიანურდება ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო, სოხუმის სუვენირებისა და მარნეულის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკების სრული სიმძლავრით ამოქმედება.

ჯერ კიდევ არასაკმარისია რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად განხორციელებული ღონისძიებანი, რის შედეგადაც ფეხსაცმლის, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის, ლაქ-სალებავების, ელექტროსახურებელი ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობების ხარისხი და გარეგნობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. მაგალითად, დაბალი ხარისხისათვის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიმწოდებლებს დაუბრუნდათ 4 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ფეხსაცმელი, დაბალი ხარისხის მიზეზით და ასორტიმენტის დარღვევის გამო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო ფაბრიკებს წაუყენეს 900 რეკლამაცია, რისთვისაც პროდუქციის დაკლების გათვალისწინებით მათ გადაიხადეს 1,3 მილიონ მანეთზე მეტი ჯარიმა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარმა სამმართველომ სავაჭრო ორგანიზაციებს აუკრძალა 40 საწარმოში გამოშვებული 59 დასახელების მასობრივი მოთხოვნილების საქონლის მიღება.

მთელ რიგ საწარმოებში ახალი მოწყობილობითა და ავტომატური ხაზებით წარმოების განახლებას საკმარისად არ იყენებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შესამჩნევად გაუმჯობესებისათვის.

პარტიის სოხუმის, ქუთაისის, გორის, ფოთის საქალაქო კომიტეტები, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინისა და 26 კომისრის რაიკომები, პარტიის თერჯოლის, თელავისა და ზოგიერთი სხვა რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად სწავლობენ მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. მათ მიერ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი მთელ რიგ შემთხვევებში განმტკიცებული არ არის შესაბამისი ორგანიზატორული მუშაობით, რის შედეგადაც ზოგიერთი მათგანი შეუსრულებელი რჩება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების საქმეში აღნიშნული და სხვა სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პარტიული კომიტეტები ლიბერალურად ეკიდებიან და შეასუსტეს მომთხოვნელობა საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, არ არის ყოველდღიური კონტროლი და სუსტია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ორგანიზაცია. პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს და მკაცრ პარტიულ და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში არ აძლევენ პირებს, რომლებიც ურიგდებიან დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებასა და სახალხო დოვლათის განიავების ფაქტებს.

ბიურომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს დაავალა ორი კვირის ვადაში გაუკეთონ ანალიზი ფაბრიკებისა და ქარხნების მუშაობას, გაერკვნენ იმაში, თუ რატომ არ შესრულდა წარმოების გეგმები, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას, ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოების ხაზით, რომლის ნაკლებობა ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა, განსაკუთრებით სოფლად.

ბიურომ აღნიშნა, რომ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საქართველოს სსრ მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროთა, ცეკავშირის გამგეობის, საქართველოს ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოებების, განსაკუთრებით საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელები მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების დავალებათა შესრულების საქმეში და დაავალა მათ ორი კვირის ვადაში განიხილონ ეს საკითხი და განახორციელონ საწარმოთა კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესების, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისა და ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მშენებარე ობიექტების დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემის მტკიცე ღონისძიებანი უზრუნველყონ, რომ აღმოიფხვრას ჩამორჩენა და შესრულდეს მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების გეგმები, ამასთან უთუოდ შეივსოს ხარვეზი მის მიწოდებაში; ძირეულად გარდაქმნან მუშაობა ყველა საწარმოში, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, ამაღლდეს საკონტროლო აპარატისა და ტექნიკური სამსახურების როლი და პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური დისციპლინის ზუსტად დაცვისათვის, თავიდან აიცილონ წუნი, აღკვეთონ არასტანდარტული და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა მოვალენი არიან სამინისტროებთან, უწყებებთან და მიმწოდებელ საწარმოებთან ერთად ოპერატიულად გადაწყვიტონ სახალხო მოხმარების იმ საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს, და არ დაუშვან საქონლის ჩაწოლა.

ბიურომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელებს დაავალა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ვაჭრობის სამინისტროს წინასწარ შეუთანხმონ სამრეწველო წარმოების გეგმათა პროექტები — მასობრივი მოთხოვნილების საქონლის მოცულობანი, ნომენკლატურა და ასორტიმენტი — შესაბამის საკავშირო სამინისტროებში მათ წარდგენამდე.

საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა, რესპუბლიკის მომარაგება-გასაღების მთავარმა სამმართველომ და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც აშენებენ მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოების ობიექტებს საკუთარი ძალებით, უნდა განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა გააუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია, მშენებარე ობიექტები უზრუნველყონ მატერიალურ-ტექნიკური რესურსებითა და უთუოდ გადასცენ საექსპლოატაციოდ ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო და კულაშის საქსოვი ფაბრიკები, ტყავნედლეულის ქარხანა და მატყლის სარეცხი ფაბრიკა შულავერში, ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ნაწარმის ფაბრიკა და სხვ. რომელთა ამოქმედებაც გათვალისწინებულია 1972 და შემდგომი წლების გეგმით.

ბიურომ საკმარისად არ ცნო ის ღონისძიებანი, რომლებიც პარტიის სოხუმის, ქუთაისის, გორის, ფოთის საქალაქო კომიტეტებმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა და 26 კომისრის სახელობის რაიკომმა, პარტიის თერჯოლის, თელავის რაიკომებმა განახორციელეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის. ბიურომ აღნიშნულ და პარტიის სხვა საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაავალა განიხილონ საკითხი საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელების პასუხისმგებლობისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახული ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმების შეუსრულებლობისათვის; მოაწყონ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, შექმნან წუნის მკეთებლებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება, რათა უხარისხო პროდუქციის გამოშვების თითოეული შემთხვევა გახადონ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და საწარმოთა კოლექტივების განხილვის საგანი, სისტემატური ყურადღება დაუთმონ კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, დაეხმარონ მათ კვალიფიკაციის, პოლიტიკური და საქმიანი თვისებების ამაღლებაში; ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ მატერიალურად პასუხისმგებელი თანამდებობანი შემოწმებული მუშაკებით, გააძლიერონ კონტროლი ადგილებზე სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისადმი.

წარმოების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული მასობრივი მოხმარების საქონლის გამოშვების ორგანიზაციის დავალებათა შესრულების ჩაფუშვისათვის ბათუმის გემთსამშენებლო ქარხნის დირექტორს ე. მალაზონიასა და ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის დირექტორს ე. კიკიანს გამოეცხადათ საყვედური.

პროდუქციის წარმოების ხარისხობრივი და სასორტიმენტო გეგმის და ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჩაფუშვისათვის, ისეთი პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოშვებისათვის, რომელზეც არ არის მოთხოვნილება რესპუბლიკაში, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების დირექტორს დ. მამუჩაიშვილს გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ბიურომ ცნობად მიიღო მთელი რიგი სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა განცხადებანი, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა აღმოფხვრან 1972 წლის პირველ ნახევარში დაშვებული ჩამორჩენა მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვებაში და უთუოდ შეასრულონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული დავალებები. (საქინფორმი).

## პირობა გაანაღდეს

### მოიკრიფა 3.758 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 3.750 ტონისა, წლიური გეგმის გადამეტებით კიდევ იქნება 400 ტონა

გუდაუთის რაიონის მშრომელებმა საიუბილეო ნობათი უძღვნეს სამშობლოს. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს. 31 აგვისტოსათვის მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 3.758 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად 3.750 ტონისა.

გუდაუთელებმა ფოთლის სიუხვესთან ერთად ყურადღება მიაქციეს მის ხარისხს. მოკრეფილი ჩაის ნედლეულის 77 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

რაიონის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. თარკილი) წევრებმა შეიტანეს. მათი პირობა იყო სეზონში წლიური დავალებით მოეკრიფათ 2.043 ტონა „მწვანე ოქრო“, 28 აგვისტოსათვის ამ დავალებას 557 ტონით გადააჭარბეს.

კოლმეურნეობის ამ გამარჯვებას ხელი შეუწყო იმან, რომ აქ 243 ჰექტარ პლანტაციაში მოწყობილი აქვთ ხელოვნური დაწვიმების დანადგარები. ამან შესაძლებლობა მისცა გვალვის დროს ბუჩქებისათვის წყალი არ მოეკლოთ.

კარგად იყენებენ მექანიზაციას. მანქანა „საქართველოთი“ აღებულია 280 ტონა ჩაის ნედლეული, რაც წლიური გეგმის 100 პროცენტს შეადგენს. ქების ღირსია კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადა, რომელსაც რ. გერზმავა ხელმძღვანელობს.

გუდაუთელები კვლავ განაგრძობენ ფოთლის კრეფას. გადაწყვიტეს სეზონში წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და მრეწველობას ჩააბარონ 400 ტონა ფოთოლი.

ვ. ტანია,
საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი.




## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნოვოსიბირსკში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნოვოსიბირსკში ეწვია ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსან საავიაციო ქარხანას, ესაუბრა საწარმოს ხელმძღვანელებს, დაათვალიერა წარმოება, შეხვდა მუშებსა და მოსამსახურეებს.

პარტიის საოლქო კომიტეტში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებსა და განყოფილებების გამგეებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის წევრებს. ეს საუბარი შეეხო ოლქის ეკონომიკის განვითარების, ნოვოსიბირსკის კეთილმოწყობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს, საერთაშორისო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხს.

1 სექტემბერს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნოვოსიბირსკიდან ომსკში გაემგზავრა. აეროპორტში იგი გააცილეს პარტიის ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ფ. ს. გორიაჩევმა, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ი. ზვერევმა, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა და საოლქო აღმასკომის წევრებმა, საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების პასუხისმგებელმა მუშაკებმა. (სატასი).

## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ომსკში ჩავიდა

1 სექტემბერს ომსკში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

აეროდრომზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. ი. მანიაკინი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ნ. გოლიკოვი, ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მ. გ. ხომულო, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, საოლქო აღმასკომის წევრები, საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები. (სატასი).

## მილოცვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წლისთავთან დაკავშირებით

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. ტონ დიკ თხანგს, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ლე ზუანს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ჩიონგ ტინს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხ. ფამ ვან დონგს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 27 წლისთავთან დაკავშირებით.

საბჭოთა ხალხი, ნათქვამია დეპეშაში, აღფრთოვანებულია ვიეტნამელი დებისა და ძმების მამაცობითა და სიმტკიცით, რომლებიც ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, ხო ში მინის უკვდავი ანდერძის შესაბამისად იჩენენ მასობრივ გმირობას იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი გადაჭრით გმობენ ამერიკის მხედრიონის დანაშაულობებს. ისინი მრისხანე პროტესტს აცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურების ბლოკადის, დასახლებული პუნქტების, სახალხო-სამეურნეო ობიექტების, საირიგაციო ნაგებობების, გზების დაბომბვის წინააღმდეგ.

საბჭოთა ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ვერც აგრესიის ესკალაცია, ვერც პოლიტიკური და დიპლომატიური ხრიკები ვერ გატეხენ ვიეტნამელი ხალხის ნებას, რომელიც იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებით რომ ხელმძღვანელობს, საბჭოთა კავშირი ყოველგვარ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდა და გაუწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სჯერათ, ხაზგასმულია დეპეშაში, რომ ვიეტნამელი ხალხი, რომელსაც მხარს უჭერენ მოძმე სოციალისტური ქვეყნები, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, მოიპოვებენ ისტორიულ გამარჯვებას თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. (სატასი).

## გზა დაგილოცოთ!

### დაიწყო ახალი სასწავლო წელი

პირველ სექტემბერს დილით რესპუბლიკის 4.200-ზე მეტ სკოლაში აწკრიალდა ზარი და აუწყა ყველას ახალი 1972-1973 სასწავლო წლის დაწყება. მილიონამდე მოსწავლე მიუჯდა მერხებს.

...სამოცდამეხუთეჯერ იწყებს ახალ სასწავლო წელს თბილისის 77-ე საშუალო სკოლა. ათასი გოგონა და ბიჭი შევიდა პირველ სექტემბერს მის ნათელ საკლასო ოთახებში.

სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი გ. კობახიძე უკვე ოცდამეთორმეტეჯერ იწყებს საზეიმო ვითარებაში სასწავლო წელს სკოლაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. აქ შექმნილია მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაკვეთილები მიმდინარეობს შესანიშნავად აღჭურვილ კაბინეტებში, რომლებიც აქ ყველა საგანშია. ფართოდ იყენებენ სწავლების თვალსაჩინო საშუალებებს — კინოს, ტელევიზიას. სკოლას აქვს ორი ავტომანქანა, საკუთარი გარაჟი, სპეციალური ავტოკაბინეტი. ბიჭები სკოლის დამთავრების მოწმობასთან ერთად იღებენ მესამე კლასის მძღოლის უფლებას. გოგონებს ასპეციალებენ ინგლისური ენის მთარგმნელებად.

დიდი ყურადღება ეთმობა მშობლიური ენის შესწავლას, თქვა კობახიძემ. სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი. მუშაობს მშობლიური ენის წრეები.

...თბილისის 42-ე მათემატიკური სკოლის დირექტორი ო. ღაღანიძე ასახელებს ციფრს 456. არსებობის 11 წლის მანძილზე სწორედ ამდენმა სკოლადამთავრებულმა განაგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში 462 სკოლადამთავრებული ქალიშვილიდან და ჭაბუკიდან.

სკოლის კოლექტივს მჭიდრო ურთიერთობა აქვს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან, მათემატიკის ინსტიტუტთან თბილისის უნივერსიტეტთან.

მარტო გასულ სასწავლო წელს ამ სკოლის მოსწავლეებმა ორმოცდაათამდე დიპლომი და სიგელი მიიღეს ნორჩ მათემატიკოსთა სრულიად საკავშირო სიმპოზიუმზე თბილისში, კიევში, ლენინგრადში.

...აწკრიალდა ზარი. ბავშვები მუსიკის ჰანგებზე მასწავლებლებისა და მშობლების თანხლებით შედიან კლასებში.

კარგად გვწავლოთ, ბავშვებო! დიდ წარმატებებს გისურვებთ, პედაგოგებო!

* * *

არდადეგების შემდეგ გამოცოცხლებაა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. 1 სექტემბერს 80 ათასზე მეტი სტუდენტი შევიდა რესპუბლიკის 18 უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიებში.

რესპუბლიკის სტუდენტთა უმრავლესობა სწავლობს ამიერკავკასიის უდიდეს ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. წლევანდელი წელი განსაკუთრებულია უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივის ცხოვრებაში. სრულდება ინსტიტუტის არსებობის ნახევარი საუკუნე. ამ ხნის განმავლობაში აქ მომზადდა 80 სპეციალობის 55 ათასი მაღალკვალიფიციური ინჟინერი.

წლითიწლობით მტკიცდება რესპუბლიკის საინჟინრო კადრების სამჭედლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახალ კორპუსში მეცადინეობენ კავშირგაბმულობის ფაკულტეტის სტუდენტები. ინსტიტუტის ათობით აუდიტორია აღჭურვილია სწავლების ახალი ტექნიკური საშუალებებით.

475 კაცი ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველ კურსზე. თხუთმეტ სპეციალობას, რომელთა მიხედვით აქ სტუდენტებს ამზადებენ, ახალ სასწავლო წელს დაემატა კიდევ ერთი სპეციალობა — მიწათმოწყობა.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ცხრა ფაკულტეტი ამზადებს 12 სპეციალობის პედაგოგს. 340 პირველკურსელიდან დიდ პროცენტს შეადგენენ საქართველოს სხვადასხვა რაიონის მცხოვრებლები. მათგან ნაწილი მიღებულია კომკავშირული საგზურებით.

როგორც ყოველთვის, წელსაც დიდი კონკურსი იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. პირველ სექტემბერს 600 მომავალმა ექიმმა დაიწყო მეცადინეობა.

ტრადიციისამებრ საქართველოდან წარგზავნილ სტუდენტთა ჯგუფი ახალ სასწავლო წელს იწყებს ერევნის, ბაქოს, კიევის უმაღლეს სასწავლებლებში. თავის მხრივ გაცვლის წესით ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებისა და უკრაინის ახალგაზრდობა უმაღლეს განათლებას მიიღებს საქართველოში.

ამრიგად, ლაშქრობა ცოდნისათვის დაიწყო. დაგილოცოთ გზა, სტუდენტებო! (საქინფორმი).





სურათებზე: მარცხნივ — ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი თბილისის 102-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასში. მარჯვნივ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის პირველკურსელები ქიმიის ლექციაზე.

ხ. ძილაძის ფოტო.

სსრკ 50

# ასე ემზადებიან

## საიუბილეო ლექციები, საღამოები, სესიები

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ შრომის ბიბლიოთეკის მუშაკებმა სოფლის აქტივთან ერთად მოაწყეს ზეპირი ჟურნალი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ჟურნალის წამყვანი თემა იყო: „სსრ კავშირის შექმნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმია". იგი წარმოადგინა სოფელ შრომის კულტურის სახლის დირექტორმა თ. ჯაბუამ. ქართველ ხალხსა და უკრაინელ ხალხს შორის ძმობისა და მეგობრობის შესახებ ილაპარაკა ბიბლიოთეკის გამგემ ც. მშვიდობაძემ.

სოფელ შრომის კოლმეურნეობისა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის როვნოს კოლმეურნეობის მშრომელთა მეგობრობის თემაზე ისაუბრა საკოლმეურნეო მრავალტირაჟიან გაზეთ „მეგობრობის" რედაქტორმა რ. ცეცხლაძემ. ზეპირ ჟურნალში თავიანთი გამოსვლებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკოლმეურნეო კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ტუღუშმა, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა კ. ჩანჩიბაძემ და სხვებმა.

ვანი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის სარაიონო კულტურის სახლში მოეწყო ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ვანის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ჩახუნაშვილმა. მოხსენებითა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ს. ხარძეიშვილმა, ს. ბაბიკინამ, ნ. პეტროსიანმა, შ. კულპინამ, ვ. ლეზინამ, რ. პაპიაშვილმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას.

გურჯაანი. (საკ. კორ.). საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრამ და საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკურმა გამგეობამ „სამტრესტის" მუკუზნის საწარმოო გაერთიანებაში მოაწყეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია თემაზე: „ქართული ეროვნული კულტურის განვითარება საქართველოში".

სსრ კავშირის შექმნის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა ა. კაკულიამ, თემაზე „ქართული კულტურის დაცვა" — ილაპარაკა დოცენტმა თ. სანიკიძემ, ქართული საბჭოთა კულტურის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ საინტერესო მოხსენება წარმოადგინა დოცენტმა ზ. ბაბუნაშვილმა.

თერჯოლა. (საკ. კორ.). საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომმა, საზოგადოება „ცოდნის" რაიონულმა ორგანიზაციამ და თერჯოლის სარაიონო ბიბლიოთეკამ კვახჭირის სასოფლო კლუბში გამართეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია თემაზე — „საბჭოთა კავშირის შექმნა და განვითარება ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფია".

საინტერესო იყო რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილის, პარტიის რაიკომის შტატგარეშე ლექტორის რ. ზარნაძის ლექცია „ოქტომბერი და ეროვნული საკითხის გადაჭრა საბჭოთა კავშირში". „საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახი" — ასეთი იყო ლექცია, რომელიც წაიკითხა პარტიის თერჯოლის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ კ. ელბაქიძემ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ამავე განყოფილების ინსტრუქტორის ზ. გვენეტაძის ლექციამ — „დიდ სამამულო ომში გაიმარჯვა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ". საზოგადოება „ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა პ. ჩუბინიძემ გააშუქა თემა — „პარტიის XXIV ყრილობა კომუნისტური მშენებლობის პერიოდში ეროვნული ურთიერთობის შესახებ".

ამბროლაური. (საკ. კორ.). საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ და აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა აქ გამართეს გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ამბროლაურის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. ვარძემ. სესიის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემაზე: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი", „ისტორიული ცნობები რაჭის შესახებ", „ეთნიკური ტრადიციები და თანამედროვეობა", „მევენახეობა-მეღვინეობის ხალხური კულტურა რაჭა-ლეჩხუმში". „მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონებში", „ვახუშტი ბაგრატიონი რაჭის შესახებ", „მოსახლეობის თანამედროვე მიგრაციის ფორმები და მოტივები რაჭა-ლეჩხუმში".

მოხსენებებით გამოვიდნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები გ. ნათმელაძე, ა. კიკვიძე და მ. გეგეშიძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები ლ. ფრუიძე, ე. ქვათაძე, ო. ზერაძე და მეცნიერ-თანამშრომელი ა. კაცაძე.

ჯავა. (საკ. კორ.). სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით რაიონის ბიბლიოთეკებში მოწყობილია გამოფენები. სოფელ [illegible] ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია [illegible] გაზეთები, პლაკატები, დიაგრამები, რომლებიც ნათლად ასახავენ სსრ კავშირში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

კიროვის სასოფლო-საბჭოს ბიბლიოთეკაში გამოფენაზე თავმოყრილია ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის ისტორიული მასალები.

წონის საბჭოთა მეურნეობის ბიბლიოთეკაში მოწყობილი გამოფენა ასახავს ხალხთა მეგობრობას დიდ სამამულო ომში.

# ჰარტიული ცხოვრება

# ქლემაველობის ბერკეტი

## პარტიის რაიკომი და ტექნიკური პროგრესი

ზესტაფონის პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც შემუშავებულია ღრმა მეცნიერული ეკონომიური ანალიზის საფუძველზე, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სოციალისტური მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, როგორც მთავარ ამოცანას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი პირობა კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესია. ამიტომ ტექნიკური პროგრესისათვის ზრუნვა არა მარტო სამეურნეო მუშაკთა, არამედ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, თვითეული მშრომელის საბრძოლო ამოცანაა.

პარტიის ზესტაფონის რაიკომი, რაიონის სამრეწველო საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად იღწვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, რის საფუძველზეც ამაღლებენ ისინი წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების დონეს.

რაიონის ყველა სამრეწველო საწარმოში შექმნილია და აქტიურ მუშაობას ეწევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ხელშემწყობი კომისიები. რეგულარულად ეწყობა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები, გააქტიურდა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მუშაობა, ამაღლდა ინჟინერ-ტექნიკოსების, მოსამსახურეების, მუშებისა და შრომითი კოლექტივების წევრთა პასუხისმგებლობა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის საქმეში.

საწარმოებში დანერგილია თვითეული მუშის, ტექნიკოსის, ინჟინრის, აგრეთვე ბრიგადირისა და უბნის უფროსის შრომის ნაყოფიერების ამაღლების პირადი კომპლექსური გეგმები.

პარტიის რაიონულ კომიტეტს შემუშავებული აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიმდინარე წლისა და ხუთწლედის ღონისძიებათა გეგმები, რომელთა შესასრულებლადაც ყველა პირობაა შექმნილი.

ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად რაიკომის ბიურო, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება რეგულარულად განიხილავენ საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების კულტურის ამაღლებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამასთან, ხშირად ეწყობა რაიონული მასშტაბის ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის პროდუქციის ხარისხისა და წარმოების კულტურის დათვალიერებანი, სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები, საწარმოო ურთიერთობის ექსკურსიები, თათბირ-სემინარები და სხვ.

საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან და წელს რაიონული მასშტაბის დათვალიერებანი მოეწყო სამჯერ, ხოლო ტექნიკური კონფერენცია — ოთხჯერ.

მიმდინარე წლის 1 აპრილს მაღალ დონეზე მოეწყო რაიონული სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელზეც მოისმინეს სამი მოხსენება და სამი თანამოხსენება. მოხსენებით „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა" — გამოვიდა ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ჯ. ცხელიშვილი. მოხსენებით თემაზე „სკკპ XXIV ყრილობა სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის გზების შესახებ" მსმენელთა წინაშე წარსდგა სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსი რ. ჩიტორელიძე, ხოლო მოხსენება „შრომის ნაყოფიერების გადიდება მეცხრე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა" გააკეთა ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილემ, მთავარმა ეკონომისტმა ელ. გაჩეჩილაძემ.

მოსმენილ იქნა აგრეთვე თანამოხსენებანიც.

კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა ტექნიკური პროგრესის დაჩქარების 1972-1975 წლების ღონისძიებათა გეგმა და მიიღო რეკომენდაციები ამ დარგში მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. კონფერენციის დღეს გამოვიდა რაიონულ გაზეთ „ლენინელისა" და ფეროშენადნობთა ქარხნის გაზეთ „ფერომდნობელის" სპეციალური ნომრები ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით.

სერიოზული ყურადღება ეთმობა ტექნიკური პროპაგანდის გაძლიერებას. გასულ და მიმდინარე წლებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რაიონულ საბჭოსთან და საზოგადოება „ცოდნასთან" ერთად 5-ჯერ მოეწყო ტექნიკურ-ეკონომიური ხასიათის ლექცია-მოხსენებების ციკლები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვთ ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროტექნიკური, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს.

ფეროშენადნობთა ქარხანაში მეორე წელია შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ტექნიკური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც 115 მსმენელია გაერთიანებული.

აქვე შარშან გეგმის შესაბამისად განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის 22, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის სამი და ახალი ტექნიკის დანერგვის 10 ღონისძიება, რომელთა რეალიზაციით წარმოებამ სულ 178.500 მანეთი ეკონომიური ეფექტი მიიღო. გარდა ამისა, გასულ წელს ქარხანაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ხაზით განხორციელდა 126 ღონისძიება, რომლებმაც წარმოებას 57.200 მანეთი ეკონომია მისცა.

დიდი მუშაობა გასწიეს რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა. 1971 წელს ქარხანაში დანერგილი 130 წინადადების შედეგად წარმოებამ 766 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ქარხნის კოლექტივი მიმდინარე წელსაც დიდ მუშაობას ეწევა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისათვის. 6 თვის მანძილზე საწარმომ ახალი ტექნიკის დარგში აითვისა 4 საკითხი. მათ შორის მნიშვნელოვანია ვანადიუმიანი ნახშირბადიანი ფერომანგანუმის, ვანადიუმიანი საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმისა და 26 მარკის სილიკომანგანუმის ათვისება. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მიზნით განხორციელდა 3 დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელთა შორის აღსანიშნავია პროდუქციის ხარისხის საანალიზო მომზადების მექანიზაციისა და დიდი დეტალების ავტომატური დადუღების ახალი ტიპის დგანის დადგმა-ამოქმედება. გარდა ამისა, წელს განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის 5 ღონისძიება და დამუშავდა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის 18 საკითხი. 5 დიდმნიშვნელოვან თემაზე მოეწყო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, ხოლო რაციონალიზაცია-გამომგონებლობის დარგში განხორციელდა 85 წინადადება.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებით წარმოებამ 130 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მიიღო.

ქარხანა „საქკაბელში" შარშან დაიდგა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 12 სხვადასხვა ტიპის ახალი მძლავრი დანადგარი, მოდერნიზებულ იქნა 6 დანადგარი. მარტო მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ახალი ტექნიკისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხაზით უკვე განხორციელდა 27 ღონისძიება, რომელთა ეკონომიური ეფექტი 80 ათას მანეთს აღემატება. ამ რამდენიმე ხნის წინათ ქარხანამ აითვისა ახალი სახის პროდუქცია — ორძარღვიანი შლანგური გამტარი პლასტმასის იზოლაციით და გარცმით, რომელიც უახლოეს მომავალში სერიულად იქნება გამოშვებული. ქარხანაში დიდი მუშაობა გასწიეს აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოების მართვის სრულყოფისათვის.

ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისათვის დიდი მოცულობის სამუშაოები განხორციელდა პურკომბინატში, სადაც მიმდინარე წლის დასაწყისისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორი ელექტროღუმელი ავტომატური ხაზებით, რომლებიც წლიურად 30 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს წარმოებას და უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას.

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის" რეკონსტრუქციის, ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისა და წარმოების გაფართოებისათვის. ამ მიზნით ქარხანაში შენდება 41 ახალი საწარმოო ობიექტი, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებით საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში.

საყურადღებოა, რომ ამ ახალ ხაწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებით მკვეთრად გაიზრდება ფართო მოხმარების საქონლის (ელექტროელემენტები) წარმოება, სახელდობრ, 1971 წელთან შედარებით 1972 წელს ეს მაჩვენებელი გადიდდება 36 პროცენტით, 1973 წელს 2-ჯერ, ხოლო 1975 წლის ბოლოსათვის — 10-ჯერ. საწარმო 1975 წელს მომხმარებელს მიაწვდის სხვადასხვა ტიპის 130 მილიონ ცალ ელექტროელემენტს.

რაიონის სამრეწველო საწარმოებში სერიოზულ მუშაობას ეწევიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და გამოშვებულ ნაკეთობათა ტექნიკური დონის ამაღლებისათვის. ამ დარგში კიდევ უფრო გაძლიერდა მუშაობა პროდუქციის ხარისხის დათვალიერების გამოცხადების პერიოდში, რომელიც წარმატებით მოეწყო მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე. აღსანიშნავია, რომ დათვალიერების პერიოდში საწარმოებმა უზრუნველყვეს 5 სახის პროდუქციის მომზადება „ხარისხის ნიშანზე" წარსადგენად. მათ შორის აღსანიშნავია საშუალონახშირბადიანი ფერომანგანუმი, ორდინარული ღვინო „არგვეთა" და სუფრის ღვინო „სვირი".

ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების კავშირურთიერთობა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებთან ტექნიკური პროგრესის საქმეში ურთიერთდახმარების მიზნით. ამ მხრივ სანიმუშო მაგალითია ფეროშენადნობთა ქარხანასა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტს შორის დადებული ურთიერთსამეფო ხელშეკრულება.

სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე ამ ოთხი თვის წინათ ფეროშენადნობთა ქარხანას ეწვია მეცნიერთა დიდი ჯგუფი. წარმოების მუშაკებმა და მეცნიერებმა ერთობლივად განიხილეს ფეროშენადნობთა წარმოების დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ტექნიკური პროგრესის დარგში მოპოვებული წარმატებანი ძირითადად განპირობებულია ნოვატორებისა და რაციონალიზატორების ი. და ლ. ცქიტიშვილების, გ. აბესაძის, შ. კვეტენაძის (ფეროშენადნობთა ქარხანა), ა. აბჟანდაძის, ი. სამხარაძის (ქარხანა „საქკაბელი"), შ. შელიძის, შ. გოჩელიშვილის (ქარხანა „ელექტროელემენტი"), ლ. კეკელიძის (სამტრესტის ზესტაფონის ქარხსამმართველოსა) და სხვ. თავდადებული შემოქმედებითი მუშაობით, რომლებიც სისტემატურად იღვწიან წარმოებაში ტექნიკური სიახლეების დანერგვისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მუდმივმა ზრუნვამ თავისი გამოხატულება ჰპოვა რაიონის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მაჩვენებელთა გაუმჯობესებაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა რაიონში შესრულებულია 103,5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 102,8 პროცენტით. ამის შედეგად გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 2.430 ათასი და რეალიზებულია 1.767 ათასი მანეთის პროდუქცია. ამასთან სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 6 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 7,5 პროცენტით გაიზარდა.

რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, მათს პირველადს პარტორგანიზაციებს გადაწყვეტილი აქვთ თანმიმდევრულად განახორციელონ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი, ფართო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით მიაღწიონ იმას, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის საწარმოში არ დარჩეს ისეთი „ვიწრო ადგილები", რომლებიც ჯერ კიდევ აფერხებენ წარმოების წინსვლას, და ამით თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

**გ. სარალიძე,**
საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის მეორე მდივანი.

# როცა წარმოების ორგანიზაცია სუსტია

● ცხინვალის ქარხანა „ემალსადენში" დაბალია შრომის დისციპლინა ● ნაკლებია ზრუნვა მუშათა კადრებზე ● საწყობი გადატვირთულია მზა პროდუქციით ● სვერდლოვსკელთა გამოცდილებას — ფართო გზა

ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხანა „ემალსადენი" ჩვენი რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის პირმშოა. იგი 11 წლის წინათ ჩადგა მწყობრში და ახლა სსრ კავშირის ორასზე მეტ დიდ საწარმოს აწვდის თავის პროდუქციას — 24 სახის სხვადასხვა დიამეტრის მქონე მომინანქრებულ სადენს. „ემალსადენის" პროდუქციაზე ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, განსაკუთრებით ტელე და რადიოაპარატურის საწარმოებში.

ცხინვალელებს უყვართ ეს საწარმო და სამართლიანადაც ამაყობენ მისით. საწარმო თანდათან იზრდებოდა, აფართოებდა საამქროებს, ივსებოდა ახალი დაზგა-დანადგარებით. მონდომებით შრომობდა მუშათა კოლექტივი, წლიდან წლამდე პირნათლად ასრულებდა საწარმო დავალებებს.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა ახლა. უკანასკნელ წლებში საწარმოში თავი იჩინა სერიოზულმა ხარვეზებმა, დაუშვებელმა ნაკლოვანებებმა, რის გამო ქარხანაში საწარმოო გეგმები ყველა ძირითად სახეში შეუსრულებელი რჩება. ამის ძირითადი მიზეზია წარმოების სუსტი ორგანიზაცია, ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მოდუნება.

ჩვენს ხელთ არის ცნობა ქარხნის მიერ საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ. მასში ვკითხულობთ, რომ „ემალსადენმა" საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება შეასრულა 96,3 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 98, ხოლო ასორტიმენტისა — 87,1 პროცენტით. ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა აგვისტოში. 25 რიცხვისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა მხოლოდ 61,9 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 61,6 პროცენტით. საწყობებში ჩაწვა მზა პროდუქცია, რეალიზაციის გეგმა განაღდებულ იქნა მხოლოდ 49,3 პროცენტით.

როცა საწარმოს საქმიანობას ანალიზს უკეთებ, ნათლად ჩანს, რომ არის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომლებიც ესოდენ ცუდად მოქმედებენ „ემალსადენის" მუშაობაზე. გადაათვალიერებ პარტიული კრებების, მუშათა კომიტეტის სხდომების, კომკავშირელთა შეკრებების ოქმებს და დარწმუნდები, რომ ქარხნის ხარვეზებით მუშაობა უმთავრესად რამდენიმე მიზეზით აიხსნება.

როგორია შრომის დისციპლინა საწარმოში? ქარხნის დირექტორმა შ. კაპისოვმა, პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. მელქოევმა და მთავარმა ინჟინერმა გ. მელქოევმა გულახდილად გვითხრეს, რომ მეტად დიდია დაზგა-დანადგარების მოცდენა მუშების სამუშაოზე გამოუსვლელობის გამო. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება ღამის ცვლაში. ადგილი აქვს ლოთობას. თითქმის ყოველდღე მუშათა სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო 2-3 დაზგა ცდება, რითაც სახელმწიფოს აკლდება 1,5-2 ტონა სხვადასხვა დიამეტრის მომინანქრებული სადენი.

საერთოდ, ქარხანა განიცდის კვალიფიციურ მუშათა ნაკლებობას. ადრე, როცა საწარმო მწყობრში ჩადგა, მუშათა კადრები მოძმე რესპუბლიკების საწარმოებში მოამზადეს. მაგრამ ეს მუშები დიდხანს ვერ შემორჩნენ „ემალსადენს". ახლა დრო გადის, ხოლო კვალიფიციური მუშების მომზადებაზე არავინ ზრუნავს. ქარხანაში თითქოს კურსებიც შექმნეს, მაგრამ ახალგაზრდობა ვერ მოიზიდეს. ამაში ქარხნის დირექციასთან და პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ბრალი მიუძღვით ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებსაც.

იმ დღეს, როცა ქარხანაში ვიყავით, იმის გამო, რომ მუშები არ ჰყავდათ, 6 დაზგა არ მუშაობდა, რომელთა წარმადობა ქარხნის საერთო გეგმის თითქმის 20 პროცენტს შეადგენს.

კვალიფიციური მუშების სიმცირის გამო ჭიანურდება ახალი სიმძლავრეების ამოქმედება. ქარხანაში შემოტანილია დაზგა-დანადგარები, რომელთა ამოქმედება თითქმის 40 პროცენტით გაზრდიდა ქარხნის სიმძლავრეს.

შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კვალიფიციური კადრების აღზრდის თაობაზე თითქმის ყველა თათბირსა და შეკრებაზეა ლაპარაკი, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე რჩება, კვალიფიციური მუშები კვლავ არ ჩანან. ეს იმიტომ, რომ მსჯელობებს და დადგენილებებს თან არ სდევს ორგანიზაციული მუშაობა, ბრძოლა ამ დადგენილებების შესრულებისათვის.

ქარხნის მუშაობის ერთ-ერთი მტკივნეული, ჩრდილოვანი მხარეა წუნდებული პროდუქცია. სხვა მიზეზებთან ერთად ესეც ძირითადად გამოწვეულია შრომის დაბალი დისციპლინით. ემალსადენის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ვერ ეგუება დაზგა-დანადგარების დროებით შეჩერებას, მათ ჩართვა-გამორთვას. სწორედ ასეთ მომენტში იბადება წუნდებული ელექტროსადენი. აქ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუშათა გამოუცხადებლობის გამო ხშირია სიმძლავრეების გაჩერება.

საწყობში ვნახეთ ათობით ტონა მომინანქრებული სადენი, რომელიც დამკვეთმა ქარხნებმა უკან დაუბრუნეს საწარმოს ცუდი ხარისხის გამო. უკანასკნელ თვეებში „ემალსადენს" რეკლამაცია გამოუგზავნეს არმავირის, ხმელნიცკის და სხვა ქალაქების ქარხნებმა. წუნი კი, როგორც მოგეხსენებათ, დიდ ზარალს აყენებს ქარხანას, აუარესებს მის ფინანსურ მდგომარეობას.

„ემალსადენის" ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის ელექტროენერგიის შეფერხებებით მიწოდებაც. ერთი და ორი შემთხვევა როდია, როცა ქარხანას თვითნებურად, წინასწარ გაუფრთხილებლად უწყვეტავდნენ ელექტროენერგიას. ეს გარემოება არა მარტო ამცირებს პროდუქციის გამოშვებას, არამედ აუარესებს მის ხარისხსაც.

ამის თაობაზე არაერთხელ იმსჯელეს საწარმოში, მაგრამ ელდენის გამოთიშვა-ჩართვა გაუფრთხილებლად კვლავ გრძელდება.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც აფერხებს ქარხნის ნორმალურ მუშაობას. საქმე ის არის, რომ ზამთრის პერიოდში ძალზე ცივა საამქროებში, ხშირად აბანო არ მუშაობს, შეფერხებები აქვს სასადილოსაც. ამის მიზეზია ტექნიკური და სასმელი წყლის სიმცირე. საერთოდ, ცხინვალს ნაკლებად აქვს წყალი. მართალია, ახლა მიმდინარეობს ვარიან-ცხინვალის წყალსადენის მშენებლობა, მაგრამ მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა გვიანდება. „ემალსადენს" კი უწყლოდ მუშაობა არ შეუძლია.

წარმოების მესვეურებმა თითქოს გამონახეს საშუალება. მათ წინადადება შეიტანეს აშენებულიყო წყლის შესანახი აუზი. პროექტი შეადგინეს, მისი მშენებლობა კი დღემდე ჭიანურდება. თუ წყლის შესანახი აუზი ზამთრის დადგომამდე არ აშენდა, საწარმო ზამთარში დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება. ამაში ქარხანას უნდა დაეხმარონ პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტი და ქალაქის საბჭოს აღმასკომი. კარგი იქნება, თუ ისინი იზრუნებენ აგრეთვე საწარმოს გაზიფიკაციის საკითხზეც.

საწარმოს რომ კვალიფიციური მუშა კადრები არ ჰყოფნის, ამაში მცირე როლს როდი ასრულებს საბინაო მშენებლობა. მიმდინარე წელს „ემალსადენმა" ააშენა 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მშენებლობას სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველო თითქმის 6 წელიწადს მოუნდა. ახლა მალე დაიწყება კიდევ ერთი ასეთი სახლის მშენებლობა. მაგრამ ისიც თუ ასე გაჭიანურდა, მშენებლები სახარბიელო საქმეს ვერ გაუკეთებენ ქარხანას, გარდა ამისა, აუცილებელია აშენდეს მუშათა საერთო საცხოვრებელი.

აგვისტოში ქარხანა „ემალსადენი" დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. ქარხნის საწყობში ვნახეთ მომინანქრებული სადენების დიდი პარტია, რომელიც დამკვეთ საწარმოებს უნდა გაეგზავნოს, მაგრამ საწარმოს შეუწყნარებლად ცუდად ემსახურება რკინიგზის ცხინვალის სადგური. ქარხანას დროულად და საჭირო რაოდენობით არ მოსდის ვაგონები, კონტეინერები, რის გამოც მზა პროდუქციის გადატვირთვა ფერხდება.

დროა ეს საკითხი მოგვარდეს.

კიდევ ერთი საკითხი. რამდენიმე თვის წინათ ქარხანაში მწყობრიდან გამოვიდა ელექტროძრავი. გაჩერდა რამდენიმე დაზგა, ქარხანა ყოველდღიურად 5-6 ტონა პროდუქციას კარგავს. ძრავის შეკეთება იკისრა „საქსოფლმშენმა". მაგრამ დაკვეთას ისინი გულგრილად მოეკიდნენ. ძრავი აგვისტოში ორჯერ შეაკეთეს, მაგრამ ის კვლავ არ მუშაობს.

როგორც ვხედავთ, საწარმოში სერიოზული ნაკლოვანებებია. ქარხნის ხელმძღვანელობას, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ მდგომარეობის გამოსასწორებლად. აქ გულდასმით განიხილეს სვერდლოვსკელთა მუშაობის გამოცდილება და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. ეს მისასალმებელია, მაგრამ ვშიშობთ — ისე, როგორც ადრე, ეს კარგი გადაწყვეტილება ქაღალდზე არ დარჩეს.

**ი. თედიაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

# როცა საკოლმეურნეო წესდებას არღვევენ

## რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. უკლება

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 22 ივლისის ნომერში დაიბეჭდა მ. ზოიძისა და მ. გორგილაძის მამხილებელი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნია შუახევის რაიონის ზამლეთის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს. ამ კოლმეურნეობებში იყო შემთხვევები, როცა მიწებს აცდენდნენ, უპატრონოდ მიტოვებულ მიწებს სხვები ეპატრონებოდნენ. კოლმეურნეობები ვერ ასრულებენ საწარმოო და საფინანსო გეგმებს.

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. უკლება რედაქციას ატყობინებს, რომ გაზეთში დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. ამ დღეებში პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების დაცვაში გამოვლინებულ დარღვევათა საკითხი და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, ხოლო იმ პირებს, რომელთაც დანაშაული მიუძღოდათ მიწათსარგებლობის წესების დარღვევაში, დაედოთ მკაცრი პარტიული სასჯელი, ზოგი მათგანი კი მოხსნილი და განთავისუფლებულია სამუშაოდან.

ამავე საკითხზე იმსჯელა სახალხო კონტროლის კომიტეტმა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა საჭირო ღონისძიებანი, რის შედეგადაც მდგომარეობა ძირითადად გამოსწორებულია.

# ფოთოლი უხვია, გადამუშავება ფერხდება, რა დააშავა ჩაის მკრეფავმა?

## რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ მახარაძის რაიკომი

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა მახარაძის რაიონში ჩაის ფოთლის გადამუშავებას.

წერილთან დაკავშირებით საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანი მ. ლომაძე რედაქციას აცნობებს:

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი სინამდვილეს შეეფერება.

ჩაის ფოთლის მასობრივად შემოსვლის პერიოდში რაიონში ყოველდღიურად მზადდებოდა 1.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული, რაც ცამეტივე ფაბრიკის საერთო წარმადობას 300 ტონით აღემატება, ზოგიერთი ფაბრიკა საწარმოო სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენებითაც ვერ ასწრებდა ზედმეტი ფოთლის გადამუშავებას. გარდა ამისა, ჩაის საბჭოთა მეურნეობებს დღემდე არ გააჩნიათ ფოთლის მიმღები პერიფერიული პუნქტები, რომლებიც პიკის დღეებში ფაბრიკების დროებითი განტვირთვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნან მოკრეფილი ნედლეულის დაუზიანებლად შენახვისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ იმსჯელა რაიონში ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავების მიმდინარეობის საკითხებზე და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

რაიკომის ბიუროს დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის კვების მრეწველობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების წინაშე დაყენებულ იქნა წინადადებანი რაიონში ორი ახალი ფაბრიკის დაწყებული მშენებლობის დაჩქარებისა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებში პერიფერიული პუნქტების აგების შესახებ.



რვა წლის წინათ, სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში გრიგოლ მახარაძე. აქ იგი დაეუფლა ზეინკლის პროფესიას.

მუყაითი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა ქარხნის ხელმძღვანელობამ ინჟინერ-ტექნოლოგის თანამდებობაზე დააწინაურა. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და გამომგონებელთა განყოფილებას.

გ. მახარაძემ წარმოებაში დანერგა ოთხი ორიგინალური რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც ყოველ წელს 12 ათას მანეთ ეკონომიას აძლევენ ქარხანას.

სურათზე: გ. მახარაძე მუშაობის დროს.

ხ. თევზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ახალი ფოსტიდან

● ჩოხატაური. სოფელ გოგოლესუბნის ბიბლიოთეკაში ყოველდღე ბევრი ხალხია. მშრომელები დიდი ინტერესით ეცნობიან აქ ლამაზად მოწყობილ გამოფენის სტენდს, რომელიც ასახავს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საყურადღებო მასალებს. მკითხველთათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები სოფლის აქტივის ძალებით. ამას წინათ გაიმართა მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „სსრ კავშირი მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის მედროშეა".

ზ. ბოლქვაძე.

● ტყიბული. მტკიცე მეგობრობა აკავშირებს ორჯონიკიძის სახელობისა და უკრაინის კომბინატ „ალექსანდრიაუგოლის" ვერბოლოზოვსკაიას შახტების კოლექტივებს. ისინი ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი.

ამ დღეებში ორჯონიკიძის სახელობის შახტის ადმინისტრაციულ კომბინატში მოეწყო მეგობრობის სტენდი, სადაც გამოფენილია ლამაზად დაწერილი სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი და უკრაინელ მოწინავე მეშახტეთა ფოტოსურათები.

ლ. არსენიძე.



მეცნიერების მიღწევები—სოფელს!

# მრავალღეროიანი, მრავალტაროიანი...

სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ კაცს, მარნეულში რომ ჩავა, აუცილებლად ჩამოუგდებენ საუბარს სიმინდის ახალ ჯიშებზე. სწორედ ამ ჯიშებიდან ერთ-ერთს ხედავთ თქვენ აქ მოთავსებულ ფოტოსურათზე.

მრავალტაროიანი და მრავალღეროიანი სიმინდი, სპეციალისტები ასე რომ უწოდებენ მას, პირველად საქართველოში გამოიყვანეს. მასზე საავტორო უფლება ეკუთვნის გენეტიკოსს, პროფესორ გ. პაპალაშვილს.

ამ სიმინდმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

პროფესორმა გ. პაპალაშვილმა თქვა, რომ წელს დაიწყო სიმინდის სხვადასხვა ტიპების მასობრივად შესწავლა წარმოების პირობებში. პირველი ნაბიჯები იმით გადაიდგა, რომ ეს ტიპები საცდელ ნაკვეთებზე დათესეს მარნეულის, გორის, კასპის, გარდაბნის, ხაშურის, გურჯაანის, სამტრედიის, გულრიფშის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში. უნდა ითქვას, რომ ახალ წამოწყებულ საქმეს ყველგან სერიოზულად მოეკიდნენ, მაგრამ განსაკუთრებული ენთუზიაზმი მარნეულის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გამოიჩინეს.

ამაზე მეტყველებს თუნდაც აქ წარმოდგენილი ფოტოსურათი. მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ნახევარ-ნახევარი ჰექტარის რაოდენობით დათესეს მრავალღეროიანი სიმინდის ხუთი ტიპი. ეს ტიპები თანმიმდევრობით: მრავალღეროიანი-მრავალტაროიანი ყვითელი კაჟა ტიპის; მრავალღეროიანი-მრავალტაროიანი ნახევრადკბილი თეთრი; მრავალღეროიანი-მრავალტაროიანი თეთრი კაჟა ტიპის; მრავალღეროიანი-მრავალტაროიანი ნახევრადკბილი ყვითელი; ერთღეროიანი-მრავალტაროიანი ნახევრადკბილი სიმინდი. აქ ჩამოთვლილ სიმინდის ტიპებს მიჩენილი აქვს თავთავისი ნაკვეთი. ნაკვეთის მომვლელებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება — ვინ მეტ მარცვალსა და მწვანე მასას მიიღებს.

საოცარია სიმინდის განვითარების სიმძლავრე. ერთი მარცვლიდან ერთის ნაცვლად ამოსულია მრავალი ღერო (ორიდან რვამდე). თვითეულ ღეროს მრავალი ტარო ჩანასახი აქვს (ხუთიდან რვამდე).

დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით ჩანს, რომ მარტო მწვანე მასა ოთხჯერ აღემატება ჩვეულებრივი ჯიშის სიმინდისაგან მიღებულს. ესე იგი წინასწარი ვარაუდით აქ ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ 800-1.000 ცენტნერ მწვანე მასას და ჩვეულებრივთან შედარებით ორჯერ მეტ მარცვალს.

პროფესორმა გ. პაპალაშვილმა რაიონის მესიმინდეებს ურჩია კიდევ ერთხელ მორწყან ნაკვეთები და კვლავაც არ მოაკლონ მზრუნველი ხელი. მათ აღუთქვეს, რომ ყველა ღონეს იხმარენ მემარცვლეობაში ამ სიახლის გაბედულად დანერგვისათვის მხარის დასაპყრობად.

**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

## 2 სექტემბერი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების დღეა

# ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი წლები

ოცდაშვიდი წლის წინათ, 1945 წლის 2 სექტემბერს, იმ დღეს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ყუმბარების აფეთქებათა ხმაური მიწყდა, ჰანოიში ხო ში მინმა გამოაქვეყნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია. დეკლარაცია იუწყებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას.

ვიეტნამელი ხალხის ცხოვრებაში ეს იყო ისტორიული შემობრუნების თარიღი, რომელმაც დასაბამი მისცა ძირეულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს. მაგრამ ვიეტნამელმა ხალხმა მაშინვე როდი ისარგებლა თავისი გამარჯვების ნაყოფით. ფრანგი კოლონიზატორების ინტერვენციამ მრავალი წლით შეწყვიტა სამეურნეო მშენებლობა. ვიეტნამელი ხალხი თავისი მებრძოლი ავანგარდის — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით ათი წლის მანძილზე (1946-1954) მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. ვიეტნამელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ მოძმე სოციალისტური ქვეყნების დახმარებამ და მთელი პროგრესული კაცობრიობის მხარდაჭერამ განაპირობა სიმართლის გამარჯვება. 1954 წელს ხელმოწერილი ჟენევის შეთანხმების შემდეგ ვიეტნამის მშრომელებმა კვლავ დაიწყეს მშვიდობიანი შრომა და გადაუდებელი სამეურნეო საკითხების გადაჭრა. მოკლე დროში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამორჩენილი კოლონიიდან გადაიქცა განვითარებად აგრარულ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში და პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებით საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

მაგრამ მშვიდობა დიდხანს როდი გაგრძელდა. 1964 წელს ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებმაც მარცხი განიცადეს სამხრეთში, ომის ავანტიურისტულ გზას დაადგნენ, დაიწყეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი ქალაქების და სოფლების ბარბაროსული დაბომბვა.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამართლიან ბრძოლაში გმირი ვიეტნამელი ხალხი მარტო როდია. იგი ეყრდნობა საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მხარდაჭერას. საბჭოთა ხალხსა და ვიეტნამელ ხალხს ერთმანეთთან აკავშირებს მეგობრობა და თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებულია სრულ თანასწორუფლებიანობაზე, იდეოლოგიის ერთიანობაზე, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. საბჭოთა კავშირი, ერთგული თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა, ყოველმხრივ დახმარებას უწევდა და უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას როგორც მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაში, ისე ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში.

არნახულ გმირობას იჩენენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები. წლების მანძილზე ეწევიან უთანასწორო ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და დამარცხებას დამარცხებაზე აყენებენ მტერს. ამერიკაში პრეზიდენტის შეცვლამ არაფერი შეცვალა მის პოლიტიკაში. გამოიცვალა მხოლოდ აზრა, რომელსაც ახლა „ნიქსონის დოქტრინა" ეწოდა. ამ დოქტრინის შემადგენელი ნაწილი კი „ვიეტნამიზაციის" პოლიტიკა გახდა. ეს „დოქტრინა" არის იმპერიალიზმის ტიპიური გლობალური სტრატეგია, რომლის მიზანია კომუნიზმის მოსპობა. ამჯერად სხვა, უფრო შენიღბული მეთოდებით. „ვიეტნამიზაციის" ყბადაღებულმა პოლიტიკამ სასტიკი მარცხი განიცადა ინდოჩინეთის ფრონტებზე, მან დაადასტურა, რომ საიგონის მარიონეტული არმია, საიგონის რეჟიმი ღრმა კრიზისს განიცდიან, და ამერიკის იმპერიალიზმის მხარდაჭერა რომ არა, მას დიდი ხანია მოეღებოდა ბოლო.

ამერიკის იმპერიალიზმი კიდევ უფრო შორს წავიდა. „ვიეტნამიზაციის" პოლიტიკის კრახმა დამარცხების წინაშე დააყენა უდიდესი სახელმწიფო, რომელიც კიდევ უფრო დიდ ავანტიურაზე მიდის, რათა შეინარჩუნოს საიგონის მარიონეტული რეჟიმი. ამერიკის ავიაცია იწყებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიწაწყლის ბარბაროსულ დაბომბვას, საარსებო საშუალებას უსპობს მილიონობით ადამიანს. სიტყვით ვაშინგტონს გამოჰყავს სახმელეთო ჯარები ვიეტნამიდან, მაგრამ ეს მხოლოდ წინასაარჩევნო დიპლომატიური მანევრია, სინამდვილეში კი უფრო მეტად აძლიერებს დაბომბვებს, საბოტაჟს უწევს პარიზის მოლაპარაკებას, მიმართავს მანევრებს, აყენებს მიუღებელ წინადადებებს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა საყოველთაო პროტესტს იწვევს მსოფლიოში. დღეს არავისათვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას ის უცილობელი ფაქტი, რომ ამერიკის ავიაცია უმოწყალოდ ბომბავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კაშხალებსა და ჯებირებს — მრავალი საუკუნის მანძილზე აგებულ საირიგაციო ნაგებობათა სისტემას, რომლის დანგრევა მოუსავლიანობას, შიმშილს ნიშნავს მილიონობით ადამიანისათვის.

რამდენიმე დღის წინათ ირლანდიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა შონ მაკბრაიდმა, რომელიც ვიეტნამიდან დაბრუნდა, სადაც იგი იყო როგორც ინდოჩინეთში შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის წევრი, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: **„საკუთარი თვალით ვნახე, თუ რა შედეგები მოჰყვა ამერიკის ავიაციის მიერ ჯებირების, კაშხალებისა და სხვა საირიგაციო ნაგებობათა დაბომბვას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.** ვნახე პირისაგან მიწისა აღგვილი სოფლები და ქალაქები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ჰოსპიტლები, ეკლესიები. ჩვენ გაგვაოცა მომაკვდინებელი ტვირთის რაოდენობამ, რომელსაც აშშ-ის თვითმფრინავები აყრიან ვიეტნამის მრავალტანჯულ მიწას". ასევე ადასტურებენ ბარბაროსული დაბომბვის ფაქტებს ამერიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრი რ. კლარკი, ცნობილი კინომსახიობი ჯ. ფონდა და მრავალი სხვა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

პენტაგონი ცდილობს დამალოს დანაშაული და მიმართავს სხვადასხვა დიპლომატიურ მანევრებს, უარყოფს საირიგაციო სისტემების განადგურების ფაქტებს. მაგრამ ეს არავის აღარ სჯერა, იმდენად ბევრია დამადასტურებელი დოკუმენტები, თვითმხილველთა ჩვენებანი, რომ სინამდვილის უარყოფა უკვე შეუძლებელია.

1945 წლიდან, იმ დღიდან, როდესაც ვიეტნამელი ხალხი შეუდგა დამოუკიდებელ განვითარებას და სოციალიზმის გზას დაადგა, მას თითქმის არ ჰქონდა მშვიდობიანი განვითარების საშუალება. და მით უფრო დიდი პატივისცემის ღირსია ეს პატარა გმირი ხალხი, რომელიც ვერ გატეხა იმპერიალისტური ბანაკის ყველაზე დიდი და ძლიერი სახელმწიფოს სამხედრო მანქანამ. შორს არ არის ის დღე, როცა მისი თავდადებული ბრძოლა სრული და სამართლიანი გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ამის კიდევ ერთი საწინდარია ის საერთაშორისო სოლიდარობა და დახმარება, რომელსაც ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას უწევენ საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა.

**ო. ლორთქიფანიძე.**



სურათებზე: (ზევიდან ქვევით) თხენხოას პროვინციის საჰაერო თავდაცვის საზენიტო რაზმი საბრძოლო პოზიციაზე; დუკნინის (კუანგბინის პროვინცია) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები ამზადებენ ნიადაგს ბრინჯის ხაზამთროდ თესვისათვის; პურის ქარხნის მშენებლობა ჰანოიში.

ვთა-საკდესის ფოტო.

# სიახლე დისერტაციების შესახებ

ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელიწადს ოცდახუთი ათასზე მეტი სპეციალისტი იცავს დისერტაციებს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ორი ათას ხუთასამდე კანდიდატი მეცნიერებათა დოქტორი ხდება. მეცნიერთა მომზადების ასეთი გაქანებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ კადრების ხარისხის ამაღლებას, მათი შერჩევის, ზრდისა და ატესტაციის მთელი სისტემის სრულყოფის პრობლემას. გაითვალისწინა რა ეს, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ შეიტანა მთელი რიგი ახალი დებულებანი ინსტრუქციაში სამეცნიერო ხარისხების მინიჭებისა და სამეცნიერო წოდებათა მიკუთვნების წესის შესახებ. „იზვესტიის" რედაქციამ უმაღლესი საატესტაციო კომისიის სწავლულ მდივანს პროფესორ **მ. ნ. ვოლკოვს** სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა ამ ახალი დებულებებისათვის.

— ლეიტმოტივი მთელი იმ ცვლილებებისა, რომლებიც უმაღლესი საატესტაციო კომისიის პრეზიდიუმმა ინსტრუქციაში შეიტანა, — არის სადისერტაციო ნაშრომების ხარისხისადმი მოთხოვნების ამაღლება, მისწრაფება — უზრუნველყოფილ იქნას გამოკვლევათა თემატიკის სახალხო-სამეურნეო და სამეცნიერო აქტუალობა.

დისერტაციაზე მუშაობა თემის არჩევიდან იწყება. ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ იგი ორგანულად დაკავშირებული უნდა იყოს იმ სამეცნიერო დაწესებულების გეგმიან პრობლემატიკასთან, სადაც დისერტანტი მუშაობს თუ სწავლობს. ეს უფრო მეტად, ვიდრე წინათ, უზრუნველყოფს თემის აქტუალობას და მისი შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლს.

დისერტაციების თემის დამტკიცება აუცილებლად უნდა ხდებოდეს სამეცნიერო საბჭოზე, ამასთან არა ფორმალურად, არა სიით, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ პერსონალურად, თვითეული მაძიებლის მიმართ.

იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს დისერტანტის მიერ საგნის უფრო ღრმად ცოდნა, იმ შემთხვევებში, როცა იგი ხელს ჰკიდებს თემას, რომელიც არ შეესაბამება მის მიერ უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ სპეციალობას, გათვალისწინებულია, რომ დისერტანტმა საკანდიდატო მინიმუმის დამატებით გამოცდა უნდა ჩააბაროს დისერტაციის თემაზე. იმათთვის კი, ვინც დისერტაციას დაიცავს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად შემოღებულია დამატებითი გამოცდა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ზოგად კურსში, იმის მიუხედავად, თუ რა უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული მაძიებელს.

**— რა შეიცვალა იმ მოთხოვნებში, რომლებიც წაყენებული აქვს დისერტაციებს?**

— ჯერ ერთი, უნდა მივაჩვიოთ დისერტანტები უფრო მკაცრად შეარჩიონ მასალა და გადმოსცენ იგი მოკლედ, ნათლად, რომ დისერტაციებს მრავალსიტყვაობა არ ახასიათებდეს, ამაზე ბევრი და სამართლიანად იწერებოდა გაზეთებში, კერძოდ „იზვესტიის" ფურცლებზეც. მეორე, უნდა დავუზოგოთ დრო რეცენზენტებსა და ოპონენტებს (როგორც წესი, თვალსაჩინო სპეციალისტებს), რომლებიც იძულებული არიან ბევრი დრო მოანდომონ სქელი ფოლიანტების წაკითხვასა და ანალიზს, სადაც ზოგჯერ რაოდენობა სჭარბობს ხარისხს. საკანდიდატო ნაშრომი არ უნდა აღემატებოდეს 150 გვერდ მანქანაზე გადაწერილ ორი ინტერვალით დაბეჭდილ ტექსტს. სადოქტორო დისერტაციის უმაღლესი ზღვარია 300 გვერდი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში შესრულებული დისერტაციებისათვის დასაშვებია ამ მოცულობათა გადამეტება 30 პროცენტით. ნახატები, სქემები, ცხრილები, ლიტერატურის სია დისერტაციების გვერდების რიცხვში არ იანგარიშება.

**— შეტანილია თუ არა რაიმე ცვლილება სადისერტაციო ნაშრომების განხილვის პროცედურაში?**

— დისერტაციის დაცვა თავისი არსით გულისხმობს სამეცნიერო საბჭოსათვის წარდგენილი ნაშრომის საქმიან, ღრმა განხილვას. და წამყვანი როლი აქ ეკუთვნით ოფიციალურ ოპონენტებს, რომლებმაც ტონი უნდა მისცენ დისკუსიას. მათ შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ უფრო ღრმად შეისწავლონ სადისერტაციო ნაშრომი, ინსტრუქციაში გათვალისწინებულია, რომ ერთსა და იმავე სპეციალისტს შეუძლია ოფიციალურ ოპონენტად გამოვიდეს წელიწადში სულ ბევრი ხუთჯერ. მიზანშეწონილად არის ცნობილი, რომ რეცენზენტი წინასწარ შეფასებას არ აძლევდეს დისერტაციას.

დისერტაციის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაცვის გარედან მონაწილეთა კვალიფიციური შემადგენლობა. დაწესებულია, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან მოკიდებული უქმდება დაცვის შესახებ გაზეთებში განცხადებათა გამოქვეყნება. საქმე ის არის, რომ ეს განცხადებები ყოველთვის როდი აღწევს მიზანს. ნაცვლად ამისა სამეცნიერო საბჭოები დროულად დაუგზავნიან მიწვევას იმ დარგის წამყვან სპეციალისტებს, რომელშიც დისერტანტი მუშაობს. გარდა ამისა, ინსტრუქციით გათვალისწინებულია, რომ მეცნიერი შეიძლება იყოს სულ ბევრი ორი სამეცნიერო საბჭოს წევრი. ეს შეზღუდვა გაათავისუფლებს სპეციალისტებს იმისაგან, რომ მეტისმეტად ბევრი დრო დაკარგონ სხდომებზე, ხოლო ამავე დროს ვალდებულს გახდის მათ უფრო სერიოზულად იმუშაონ იმ საბჭოებში, რომელთა წევრებიც ისინი არიან.

**— არის თუ არა ცვლილებანი სამეცნიერო წოდებათა მინიჭების წესში?**

— დიახ, არის. ისინი შეტანილია იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მოთხოვნები ლექტორების პროფესიული ოსტატობისადმი, ამაღლდეს უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის დონე.

კერძოდ, მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობის სავალდებულო სტაჟი დოცენტის წოდების პრეტენდენტებისათვის გადიდებულია სამ წლამდე, ხოლო პროფესორისათვის — ხუთ წლამდე. წამყვანი სპეციალისტები მრეწველობიდან, რომლებიც მიწვეული არიან უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების საკითხავად, შეიძლება წარდგენილ იქნან სამეცნიერო წოდების მისაკუთვნებლად უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის დაწყებიდან სამი თვის (ერთი სემესტრის) შემდეგ. ამასთან ისინი მოვალენი არიან წარადგინონ წაკითხული ლექციების კონსპექტი.

სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მომუშავე სპეციალისტებს პროფესორის წოდება შეიძლება მიეკუთვნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მეცნიერებათა დოქტორის წოდება აქვთ და მომზადებული ჰყავთ სულ ცოტა ხუთი მეცნიერებათა კანდიდატი ან უმაღლეს სასწავლებელში ლექციების კურსს კითხულობენ სულ მცირე სამი წლის განმავლობაში.

დასასრულ ვიტყვი, რომ ახალი ინსტრუქცია ძალაში შევა 1972 წლის 1 სექტემბრიდან. მაგრამ ყველა საატესტაციო საქმე, რომლებიც შესულია უმაღლეს საატესტაციო კომისიასა და სხვა საატესტაციო ორგანოებში, აგრეთვე დისერტაციები, რომლებიც მიღებულია სამეცნიერო საბჭოების მიერ ამ თარიღამდე, განხილული იქნება ძველი ინსტრუქციის შესაბამისად. გამონაკლისს წარმოადგენს დისერტაციების დაცვის შესახებ საგაზეთო განცხადებების გაუქმება. ეს დებულება ძალაშია სექტემბრიდან მიუხედავად იმისა, თუ როდის იყო ჩაბარებული დისერტაცია სამეცნიერო საბჭოში.

„იზვესტია" 1 სექტემბერი.

# სალვადორ ალიენდეს გამოსვლა

**სანტიაგო. 1 სექტემბერი. (საკდესი).** სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა პროგრამის შესრულების მსვლელობაში მთავრობა აწყდება რეაქციის გააფთრებულ წინააღმდეგობას, განაცხადა ჩილეს პრეზიდენტმა ს. ალიენდემ.

მან სიტყვა წარმოთქვა ჩილეს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა პრეზიდენტის არჩევნებში სახალხო ერთიანობის წარმომადგენლის გამარჯვების მეორე წლისთავს.

ს. ალიენდემ მკვეთრად გააკრიტიკა ანტიხალხური გამოსვლები რეაქციისა, რომელიც ძალადობასა და ტერორს მიმართავს. იყენებს რა მოთხოვნის გადიდების გამო ცალკეული სახეები პროდუქტების დროებით ნაკლებობას, თქვა მან, რეაქციამ გააჩაღა ფართო პროპაგანდისტული კამპანია, რათა სახელი გაუტეხოს მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას.

ს. ალიენდემ აღნიშნა, რომ მემარჯვენე ძალები ცდილობენ გამოიწვიონ შეიარაღებული შეტაკება. მაგრამ მთავრობა, განაცხადა მან, არ დაუშვებს სამოქალაქო ომის გაჩაღებას, და რეაქციის ყველა ცდა ამ მიმართულებით განწირულია ჩასაფუშავად.

# დაბრკოლებებს უქმნიან კომუნისტებს

**ნიუ-იორკი. 1 სექტემბერი. (საკდესი).** აშშ-ის კომუნისტური პარტია კვლავ შეუპოვრად იბრძვის რეაქციის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ დისკრიმინაციული კანონებისა და ყოველგვარი ხრიკების საშუალებით ხელი შეუშალოს მუშათა კლასის პარტიას მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში.

კალიფორნიის შტატში პეტიციას, რომლითაც მოითხოვენ შეიტანონ საარჩევნო ბიულეტენებში კომპარტიის გენერალური მდივნის გეს ჰოლის კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე და „ახალგაზრდა მუშათა განთავისუფლებისათვის კავშირის" თავმჯდომარის ჯარვის ტაინერის კანდიდატურა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, ხელი მოაწერა 18 ათასზე მეტმა კაცმა. სწორედ ამდენი ხელმოწერა იყო საჭირო ორივე მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების — კანდიდატთა ოფიციალური რეგისტრაციისათვის.

მაგრამ, კალიფორნიაში არსებული დისკრიმინაციული კანონის თანახმად, კომპარტიამ თავისი კანდიდატების რეგისტრაციისათვის უნდა მოაგროვოს 450 ათასი ხელმოწერა, ესე იგი 25-ჯერ მეტი.

ინდიანის შტატში ხელისუფლებმა ასევე გააჩაღეს ანტიკომუნისტური კამპანია. შტატის პროკურორმა გამოსცა ცირკულარი, რომლითაც აშინებს ამომრჩევლებს, რომ თითქოს არჩევნებში კომუნისტთა მონაწილეობა „დამღუპველ შედეგებს მოუტანს" შტატს.

# წინააღმდეგობის ვითარებაში

**ვაშინგტონი. 1 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კ. ტანაკამ ჰონოლულუში (ჰავაის კუნძულები) დაიწყეს ორი დღის მოლაპარაკება, რომელიც მიზნად ისახავს უწინარეს ყოვლისა შენელდეს ორი ქვეყნის მწვავე სავაჭრო ეკონომიური წინააღმდეგობანი. იხილავენ აგრეთვე ურთიერთობისა და მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემების სხვა ასპექტებს.**

როგორც საინფორმაციო სააგენტოთა კორესპონდენტები ჰონოლულუდან იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებაზე გავლენას ახდენს თავის მთავარ პარტნიორ — იაპონიაზე, რათა შეცვალოს თავის სასარგებლოდ ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობის ახლანდელი ხასიათი.

ამასთან ისინი აყენებენ იმ მოსაზრებას, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში ამერიკა-იაპონიის ვაჭრობაში ბალანსი ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ არ ყოფილა.

იუწყებიან, კერძოდ, რომ იაპონიის მხარე დათანხმდა ამერიკის საქონლის იმპორტის გადიდებაზე, მაგრამ ხანმოკლე საფუძველზე, რაც ვაშინგტონის წარმომადგენელთა უკმაყოფილებას იწვევს. ისინი ცდილობენ გაადიდონ ამერიკის ექსპორტი იაპონიაში ხანგრძლივ საფუძველზე, კერძოდ იაპონიის საგადასახადო ბარიერების შემცირების გზით, რომელიც იაპონიის ბაზაზე ამერიკას საქონლის შეღწევას უშლის ხელს.

როგორც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტი წერს, პრეზიდენტი ნიქსონი ცდილობს აგრეთვე რომ „ამერიკულმა კაპიტალმა უფრო თავისუფლად შეაღწიოს იაპონიაში".

როგორც იუწყებიან, ორივე მხარემ განიხილა აგრეთვე ამერიკა-იაპონიის ურთიერთობის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები.

## ამბები

● **გაერთიანებული ერების** ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი იუგოსლავიაში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით.

● **კამერუნმა და უგანდამ** გადაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ ელჩების დონეზე. გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყანა ესწრაფვის მიაღწიოს საერთო მიზანს — სავსებით მოსპონ კოლონიალიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია აფრიკაში.

● **პარიზის ბირჟაზე** კვლავ აღინიშნა ოქროს ფასების ზრდა. უნცია ოქროს ფასმა მიაღწია 67, 74 ამერიკულ დოლარს (ოფიციალური ფასი ახლა უდრის 38 დოლარს უნციაში).

● **სამუშაოზე არ გავიდა** 600 ჟურნალისტი — ინგლისის კომპანია „ინტერნეშნლ კაბლიშინგ კორპორეიშნის" მთელი რიგი ჟურნალებისა და ილუსტრირებული პერიოდული გამოცემების მუშაკი.

● **ტოკიოში სმოგმა** — მზის სხივების მოქმედებით ავტომობილების გამონაბოლქვი გაზების დაშლის პროდუქტმა ხუთშაბათს 1.670-ზე მეტი კაცი მოწამლა. ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ქანგების კონცენტრაცია იაპონიის დედაქალაქის მეტი წილი რაიონების ატმოსფეროში ორჯერ აღემატებოდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ დონეს.

● **იაპონიაში გამოვიდა** „უსინათლოთა მსოფლიო ენციკლოპედია", რომლის მოცულობა 1.100 გვერდია. ენციკლოპედიაში გაშუქებულია უსინათლოთა ყოველდღიური ცხოვრების პრობლემები, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა საკითხები. ენციკლოპედიის შედგენაში 126 მეცნიერი მონაწილეობდა.

## ფაქტები

# კანონიერება სოციალიზმის სადარაჯოზე

**სოციალისტური ქვეყნების გაზეთები სტატიებსა და კომენტარებში საკადრის პასუხს აძლევენ დასავლეთის ბურჟუაზიული პრესის ანტიკომუნისტურ კამპანიას, რომელიც გაიშალა პრაღასა და ბრნოში იმ პირთა პროცესებთან დაკავშირებით, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ.**

ბუდაპეშტი. გაზეთი „ნეპსაბადშაგი" გმობს დასავლეთში გაჩაღებულ კამპანიას სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ და წერს, რომ ბურჟუაზიული პრესაც კი სავსებით ვერ ხდის ბრალდებულთა დანაშაულს, ესე იგი იმ ფაქტს, რომ მათ ჩაიდინეს ქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება ჩეხოსლოვაკიის კანონებს. ეს პრესა აღშფოთებას გამოთქვამს მხოლოდ იმის გამო, რომ ჩეხოსლოვაკიის ხელისუფალნი ხელს უშლიან ძირგამომთხრელ ელემენტებს აწარმოონ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა.

ჩეხოსლოვაკიაში, წერს „ნეპსაბადშაგი", კონსოლიდაციის პროცესი დამთავრდა, აღდგენილია წესრიგი პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ სფეროებში, ქვეყანა ახლა ვითარდება სწრაფი ტემპით, მისი ეკონომიკა მტკიცდება. ჩეხოსლოვაკია ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საიმედო წევრია. სოციალიზმს ვერ შეარყევენ დასავლეთის წამქეზებლური მოწოდებანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ. მათ შეუძლიათ მხოლოდ ზოგიერთ, მერყევ მოქალაქეს ჩაადენინონ მოუფიქრებელი საქციელი, დანაშაული, რისთვისაც კანონით აგებენ კიდეც პასუხს.

ჩეხოსლოვაკიის ოფიციალური პირებისა და ხელმძღვანელი ორგანოების განცხადებებსა და გადაწყვეტილებებში არაორაზროვნად ხაზგასმულია, განაგრძობს „ნეპსაბადშაგი", რომ სოციალისტური კანონიერება ყოველ გარემოებაში, სოციალიზმის მტრების მიმართაც კი, ზუსტად არის დაცული. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ნებართვას, რომ ეწეოდნენ ანტისახელმწიფოებრივ და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას და სჩადიოდნენ სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას.

ჰავანა. გაზეთი „გრანმა" სარედაქციო წერილში ილაშქრებს ანტიჩეხოსლოვაკიური კამპანიის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში გაჩაღდა იმასთან დაკავშირებით, რომ პრაღასა და ბრნოში გაასამართლეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კანონების დამრღვევნი.

ჩეხოსლოვაკიის მტრები, ნათქვამია სტატიაში, კვლავ ჩირქს სცხებენ ამ სახელმწიფოს კანონიერ მოქმედებას, რომელმაც სამართალში მისცა დამნაშავენი. საქმე ეხება სოციალისტურ ქვეყნებზე გააფთრებული თავდასხმების განგრძობას, რომლებიც 1968 წლის აგვისტოში დაიწყო, როცა საჭირო გახდა იმ ძალების ხრიკების აღკვეთა, რომლებიც ცდილობდნენ ქვეყანა კაპიტალიზმის გზაზე დაებრუნებინათ. საერთაშორისო რეაქციის აღვირახსნილობა, რომელიც გამოიწვია მისი ზრახვების ჩაფუშვამ, ახლა უხეში ცილისწამების კამპანიით ვლინდება.

ეს კამპანია, აღნიშნულია შემდეგ სტატიაში, დაიწყო იმ დროს, როცა ჩეხოსლოვაკიელი ხალხი წარმატებით მიდის წინ ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე, როცა იზრდება ამ ქვეყნის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, როცა ჩეხოსლოვაკია გახდა სოციალისტური თანამეგობრობის მტკიცე ურღვევი რგოლი.

რეაქცია და იმპერიალიზმი ანგარიშში მოტყუვდნენ, თუ ფიქრობენ, რომ კვლავ გადააქცევენ ამ ქვეყანას ძირგამომთხრელი მოქმედების ასპარეზად.

სოფია. „რაბოტნიჩესკო დელო" გამოაქვეყნა სტატია „პირფერული დაცვა", რომელშიც უარყოფს ბურჟუაზიული პროპაგანდის ცილისმწამებლურ გამოხდომებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ. დასავლეთის პროპაგანდისტული ორგანოები, წერს გაზეთი, ამაოდ ცდილობენ დაიცვან დამნაშავენი, რომლებსაც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კანონების შესაბამისად მსჯავრი დასდეს ანტისახელმწიფოებრივი და სისხლის სამართლის საქმიანობისათვის. (საკდესი).

# როგორია შედეგები?

**ნაირობი. 1 სექტემბერი. (საკდესი). „საერთო ბაზართან" აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნების გაერთიანების ასოციაციის პირველმა წელიწადმა დიდი ფინანსური ზარალი მოუტანა აფრიკის ქვეყნებს.**

აქ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, აღმოსავლეთ აფრიკის გაერთიანების წევრი ქვეყნების — კენიის, ტანზანიისა და უგანდის — საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტმა 1971 წელს 44,3 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ აფრიკის ქვეყნებში მკვეთრად გადიდდა ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნების საქონლის ექსპორტი.

შეთანხმება ასოციაციის შესახებ ძალაში შევიდა 1971 წლის 1 იანვარს. ამ შეთანხმების პირობების თანახმად, „საერთო ბაზრიდან" შეტანილი საქონელი არ იბეგრება.

## მიწისძვრა იაპონიაში

**ტოკიო. 1 სექტემბერი. (საკდესი). ძლიერი მიწისძვრა მოხდა გუშინ კანსაის რაიონში (ჰონსიუს კუნძულის ცენტრალური ნაწილი). ქალაქ კიოტოში იგრძნობოდა 4 ბალი ძალის მიწისძვრა ბიძგები (ქვეყანაში მიღებული შვიდბალიანი სკალის მიხედვით).**

**მიწისძვრის შედეგად დროებით შეჩერდა მიმოსვლა ტოკიო-ოსაკის ჩქარ ხარკინიგზო მაგისტრალზე.**

# მეორეხარისხოვანი მოქალაქენი

**ოტავა. 1 სექტემბერი. (საკდესი).** კანადის ჩრდილოეთის მკვიდრი მცხოვრებნი — ესკიმოსები „მეორეხარისხოვან მოქალაქეთა" მდგომარეობაში არიან იმის გამო, რომ კატასტროფულად აკლიათ სკოლის შენობები, არ არის კვალიფიციური მასწავლებლები, უგულებელყოფენ მათ ეროვნულ კულტურასა და ენას.

ყოველივე ეს ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს ქმნის განათლებისა და მუშათა კვალიფიკაციის მიღებისათვის. ასეთი დასკვნა გამოიტანა პანგნირტანგში (კანადის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია) გამართულმა „კანადელ ესკიმოსთა ძმობის" ორგანიზაციის ყრილობამ, რომელმაც განიხილა ესკიმოსთა განათლების პრობლემები.

ჩრდილოეთ კანადის სკოლებში საერთოდ არ ასწავლიან მშობლიურ ენას, სასკოლო პროგრამებში უგულებელყოფილია ეროვნული კულტურა და ტრადიციები, წუხილით აღნიშნავდნენ ყრილობის დელეგატები.

# ჩინეთის ვეტო ძირს უთხრის მშვიდობის საქმეს

**კოლომბო. 1 სექტემბერი. (საკდესი). „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბანგლადეშის რესპუბლიკის მიღებაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვეტო ძირს უთხრის სამხრეთ აზიაში მშვიდობისა და სტაბილურობის საქმეს. ჩინეთის ხელმძღვანელობის ეს აქცია ხელს უშლის ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაძაბულობის შენელებას, რომელიც დაისახა სიმლაში შეთანხმების დადების შემდეგ", — ნათქვამია ბანგლადეშთან შრილანკის სოლიდარობის კომიტეტის განცხადებაში.**

„ბანგლადეშის ხალხს, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, — აღნიშნულია განცხადებაში, — კანონიერი უფლება აქვს გახდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომელიც ილაშქრებდა ბანგლადეშის ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ, ახლა ცდილობს შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ სახელმწიფოსადმი მტრული დამოკიდებულების ატმოსფერო.

როგორ ჰგავს ეს პოლიტიკა იმას, რომელსაც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ახორციელებდა ამერიკის შეერთებული შტატები, როცა ხელს უშლიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებას!

# მკვლელები გაათავისუფლეს

**ნიუ-იორკი. 1 სექტემბერი. (საკდესი). მისისიპის შტატის ხელისუფლებმა გაათავისუფლეს ზანგი ხალხის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის სამი აქტივისტის მკვლელები.**

1964 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა შეაძრწუნა პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ზანგ ამომრჩეველთა სარეგისტრაციოდ მისისიპის შტატში ჩასული სამი ახალგაზრდის მხეცურმა მკვლელობამ.

კუ-კლუქს-კლანის საასპარეზო ამ შტატის ხელისუფლებმა დიდხანს „ვერ აღმოაჩინეს" დამნაშავენი. როცა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მკვლელები როგორც იქნა დააპატიმრეს და მისცეს პასუხისგებაში, ამერიკის სამხრეთის „მართლმსაჯულებამ" ყოველი ღონე იხმარა, რათა შეემსუბუქებინა განაჩენი. რასისტ მკვლელებს მხოლოდ სამი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, მისისიპის საპყრობილის ხელისუფლებმა ვადამდე გაათავისუფლეს დამნაშავენი „სანიმუშო საქციელისათვის".

# მსოფლიო დღეს

# ორგანიზებულად, საქმიანად

## პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების ანგარიშგება-არჩევნები

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით მოეწყოს პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები:

ა) საანგარიშო-საარჩევნო კრებები საწარმოთა, დაწესებულებათა, უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტკლუბებში — 1972 წლის 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე;

ბ) პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა რაიონული, საქალაქო, საოლქო, საგზაო და რესპუბლიკური კონფერენციები — 1972 წლის 15 დეკემბრიდან 1973 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საოლქო პროფსაბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივ კომიტეტებს, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებს დაავალა უზრუნველყონ, რომ ანგარიშგება-არჩევნები მომზადდეს და გაიმართოს მაღალ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა უნდა განსაზღვრონ და დაამტკიცონ სკკპ XXIV ყრილობისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პრაქტიკული ღონისძიებანი უახლოეს წლებში მშრომელთა და ახალგაზრდობას შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფიზკულტურული კადრების შერჩევასა და განაწილებას. საქმიანი თვისებების ყურადღებით და ყოველმხრივი შესწავლის, კრებებსა და კონფერენციებზე კანდიდატურათა ფართოდ განხილვის გზით უზრუნველყონ, რომ ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების საბჭოებში, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებში აირჩიონ საუკეთესო აქტივისტები და ფიზკულტურელები, რომლებსაც შეუძლიათ უხელმძღვანელონ მუშაობას მშრომელთა ყოფაცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვისა და სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისათვის.

ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის დროს საჭიროა განუხრელად იყოს დაცული პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა წესდების მოთხოვნები ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „ქარიშხალას", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" და „ვოდნიკის" რესპუბლიკურ საბჭოებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და დაამტკიცონ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ყველა რგოლში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის გრაფიკი, ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში ფიზკულტურული აქტივი.

ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის შემდეგ პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა საბჭოებმა უნდა მოაწყონ კურსები და სემინარები ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეთა მოსამზადებლად და დახმარება გაუწიონ ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებს ფიზკულტურისა და სპორტის სამქრო საბჭოების თავმჯდომარეთა სწავლებაში. (საქინფორმი).

## გიზგიზებს ოლიმპიური ჩირაღდანი

# ოქროს დიდი მოსავალი

▫ ოლიმპიადა — დღე მეექვსე ▫ საბჭოთა მოჭიდავეების ხუთი ოქროს მედალი ▫ სენსაცია წყალბურთელთა ტურნირში

მიუნხენი, 31 აგვისტო. (საკდესი). თბილისელი ლევან თედიაშვილი და მახაჩყალელი ზაგალავ აბდულბეკოვი მეექვსე ოლიმპიურ დღეს დილით მე-20 ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა ნაკრები უკვე ახლა ლიდერობს გუნდურ ჩათვლაში, წინ კი საღამოს ფინალებია.

...თბილისის უნივერსიტეტის 23 წლის სტუდენტი, მომავალი იურისტი თედიაშვილი უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი, და წელს მას მხოლოდ ერთი ამოცანა ჰქონდა — მოეპოვებინა უმთავრესი სპორტული გამარჯვება. ეს ჯილდო კარგი საჩუქარი იქნება... ლევანის ქორწილზე, რომელიც გაიმართება ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ.

თედიაშვილი გამოდიოდა პირველ საშუალო წონაში, აბდულბეკოვი მსუბუქ წონაში.

31 აგვისტოს მიუნხენის გრილი საღამო ჩვენი ოლიმპიელებისათვის ჭეშმარიტად „ოქროს ჟამი" აღმოჩნდა. საბჭოთა სპორტსმენებმა მედლების რიგიანი მოსავალი „მოიწიეს" ოლიმპიურ „ყანაში" და მოპოვებულ ჩემპიონთა ჯილდოების რაოდენობა თოთხმეტამდე გაზარდეს.

ბულგარელი ატლეტის ოსმან დურალიევის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე მედვედი, ახლა უკვე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის, კვლავ ხალიჩაზე გამოვიდა, დაიხარა და აკოცა მას. ეს იყო უკანასკნელი ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდა მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი. შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონმა მკაფიო კვალი დატოვა სპორტში...

ჯერ კიდევ დილით უმაღლესი ჯილდოები მოიპოვეს პირველი საშუალო წონის მოჭიდავემ ლევან თედიაშვილმა და მსუბუქი წონის ზაგალავ აბდულბეკოვმა, შემდეგ უმჩატესი წონის იაკუტი რომან დმიტრიევი გახდა ჩემპიონი. ქვემძიმე წონის ივანე იარიგინმა ამ საღამოს ორი შეხვედრა გამართა და ორივეჯერ წმინდა გამარჯვება მოიპოვა. სხვათა შორის, მან თავისებური რეკორდი დაამყარა — დღემდე არავის არ დაუმთავრებია ოლიმპიადა ისე, რომ ერთი საჯარიმო ქულაც არ მიეღოს. იარიგინმა თავისი შვიდი მეტოქე ბეჭებით გააკრა ხალიჩას.

თანამედროვე ხუთჭიდის საბჭოთა ოსტატებმა დამაჯერებელი გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. მსოფლიოს ჩემპიონმა ბორის ონიშჩენკომ, მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა პავლე ლედნიოვმა და დებიუტანტმა 26 წლის ვლადიმერ შმელიოვმა უძნელესი სპორტული ბრძოლის ხუთ დღეში მოაგროვეს 15.968 ქულა. მეორე ადგილზეა უნგრეთის ნაკრები 15.348, მესამეზე ფინეთის გუნდი, რომელიც სწრაფად იუმჯობესებს შედეგებს. მან მოაგროვა 14.812 ქულა.

პირად ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენები უკეთ გამოვიდნენ, ვიდრე ოთხი წლის წინათ მეხიკოში. 34 წლის ონიშჩენკომ მოიპოვა ვერცხლის მედალი — 5.335 ქულა, ლედნიოვს კვლავ „ბრინჯაო" ხვდა — 5.328, შმელიოვი მეხუთე ადგილზეა — 5.302.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა სახელგანთქმული უნგრელი სპორტსმენი ანდრაშ ბალცო, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, თავის მრავალ წოდებასა და ჯილდოს ოქროს ოლიმპიური მედალი შემატა. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს მან ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა. დიდებულად გაირბინა ოთხკილომეტრიანი კროსის უძნელესი ტრასა — 12 წუთი და 42,6 წამი. მან მოაგროვა 5.412 ქულა.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი — 5 წუთი და 13,42 წამი დაამყარა ნინო პეტროვამ და მესამე ადგილი დაიკავა თავის გაცურვაში. იგი განაგრძობს ბრძოლას ოლიმპიური ჯილდოსათვის.

კიდევ ერთი წარმატება მოიპოვეს საბჭოთა მოკრივეებმა: ანატოლი კამნევმა (63,5 კილოგრამამდე) დაანოკაუტა ბერმუდესის კუნძულების წარმომადგენელი როი ჯონსონი.

დღეს დაიწყო ტურნირი ძიუ-დოშიც. პირველი ჩვენი მოჭიდავეებიდან საჭიდაოდ გამოვიდა მძიმე წონის გივი ონაშვილი. უკვე 22 წამის შემდეგ ჭიდაობის დაწყებიდან მან წმინდად მოუგო სენგალელ მბაგნიკ მბოჯს. საღამოსათვის კი მან ოთხი გამარჯვება მოიპოვა. დამარცხებულ მეტოქეთა შორის იყო ძლიერი იაპონელი მოტოკი ნისიმურაც, რომელსაც თბილისელმა ქულებით მოუგო. მედლები გათამაშდება გვიან ღამით.

ოლიმპიური ჩემპიონი მძიმე წონის (93 კილოგრამზე მეტი) ძიუდოისტთა შორის გაიმარჯვა ჰოლანდიელმა სპორტსმენმა ვილემ რიუსკამ. თბილისელი გივი ონაშვილი მესამე ადგილზე გამოვიდა.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში გახდა სპორტული სიარულის ოსტატი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი პეტერ ფრენკელი. 20 კილომეტრი მან გაიარა 1 საათში, 26 წუთსა და 42,4 წამში. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ვლადიმერ გოლუბნიჩიმ ვერცხლის მედალი დაიმსახურა — 1 საათი, 26 წუთი და 55,2 წამი. ნიკოლოზ სმაგა მეხუთე იყო — 1 საათი, 28 წუთი და 16,6 წამი.

მალე საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა კელნელი სტუდენტი ჰეიდი როზენდალი, რომელმაც გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში — 678 სანტიმეტრი. ლიუბოვ ილინა ვერ მოხვდა ფინალში (625 სანტიმეტრი).

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საბჭოთა მცურავებმა, რომლებიც თავისუფალი სტილით 4X200 მეტრ ვაჟთა ამანათცურვაში გამოდიოდნენ — 7 წუთი და 45,76 წამი. ახალი მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვეს ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებმა — 7 წუთი და 35,78 წამი.

ოლიმპიურ აუზში გათამაშდა კიდევ ორი მედალი. მორიგი გამარჯვება (უკვე მეოთხე) მოიპოვა ამერიკელმა მარკ სპიტცმა და კვლავ მსოფლიო რეკორდით: 100 მეტრი ბატერფლაით გაცურა 54,27 წამში. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა ავსტრალიელმა გეილ ნილმა — 5 წუთი და 02,97 წამი (მსოფლიო რეკორდი). ნინო პეტროვა მერვე იყო — 5 წუთი და 15,68 წამი.

საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა დაამარცხეს უნგრეთის გუნდი — 3:1 (15:12, 15:2, 13:15, 15:9).

უნგრელმა ფეხბურთელებმა კი გაიმარჯვეს მნიშვნელოვან მატჩში დანიის გუნდთან ანგარიშით 2:0 და პრაქტიკულად გაინაღდეს ნახევარფინალში მონაწილეობა.

...ჭიდაობის დარბაზიდან კარი გადის მოფარიკავეთა დარბაზში. ამ საღამოს საბჭოთა სპორტსმენებმა აქაც იზეიმეს წარმატება. ვიქტორ სიდიაკმა ბრწყინვალედ წარმართა ხმლით მოფარიკავეთა ფინალური ტურნირი. მსოფლიო ჩემპიონის წოდებას 28 წლის მინსკელმა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა (თუმცა მას უკვე აქვს ეს წოდება, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში). სიდიაკის გვერდით საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე იდგა ვლადიმერ ნაზლიმოვი.

ამ საღამოს ორჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ჩვენი ყველაზე ნორჩი ტანმოვარჯიშე 17 წლის ოლია კორბუტი. მან გაიმარჯვა თავისუფალ ვარჯიშში და ძელზე ორივე ნებისმიერ ვარჯიშში მან 9,9-9,9 ქულა მიიღო. ოლიამ კვლავ გვიჩვენა თავისი უნიკალური სალტოები და დარბაზმა კვლავ დააჯილდოვა იგი მქუხარე ოვაციით.

კორბუტმა მიიღო აგრეთვე ვერცხლის მედალი ორძელზე შესრულებული კომბინაციისათვის. ასეთივე ღირსების მედლები მოიპოვეს თამარ ლაზაკოვიჩმა დვირზე ვარჯიშისათვის და ოლიმპიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლიუდმილა ტურიშჩევამ თავისუფალი ვარჯიშისათვის (მან მესამე ადგილი დაიკავა აგრეთვე ბრჯენით ხტომაში).

ორი ოლიმპიური ოქროს ჯილდო მიაქვს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კარინ იანცს — ბრჯენით ხტომისა და ორძელზე ვარჯიშისათვის, მანაც 9,9-9,9 ქულა დაიმსახურა ნებისმიერ ასპარეზობაში.

სსრ კავშირის ოთხი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამი წარმომადგენლის გარდა პირველობას ცალკეულ სახეობებში ეცილებოდა კიდევ მხოლოდ ორი უნგრელი ტანმოვარჯიშე. მათ არცერთი მედალი არ რგებიათ.

მესამე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ფრენბურთელმა ვაჟებმა ოლიმპიურ ტურნირში — ამჯერად დაამარცხეს ბულგარეთის ძლიერი გუნდი ანგარიშით 3:1.

საბჭოთა მოკრივეთაგან ბორის ზორიკტუევი (წონა — 51 კილოგრამი) ერთადერთი იყო, რომელიც ამ საღამოს გამოვიდა რინგზე და დამაჯერებლად მოუგო ბირმელ დაველ ვანლალს. მსაჯმა მესამე რაუნდში შეწყვიტა ბრძოლა ჩვენი სპორტსმენის აშკარა უპირატესობის გამო.

ვერ გაამართლა იმედები მსოფლიოს ჩემპიონმა ქვესაშუალო წონის ძალოსანთა შორის ვლადიმერ კანიგინმა. მან ნული შეფასება მიიღო ატაცში და ბრძოლას გამოეთიშა. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბულგარელი ატლეტი იორდან ბიკოვი, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამჭიდში — 485 კილოგრამი.

პირველად ოლიმპიურ ასპარეზობათა ისტორიაში 10 კილომეტრ დისტანციაზე მორბენლებს წინასწარ გარბენებში მოუხდათ ფინალში მონაწილეობის უფლების მოპოვება. პირველი გარბენის გამარჯვებულმა — ბელგიელმა ემილ პუტემინსმა დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი — 27 წუთი და 53,4 წამი. ჩვენი სამი სტაიერიდან ფინალურ გარბენში ბრძოლის უფლება მოიპოვა მხოლოდ პავლე ანდრიევმა, რომელიც მესამე მივიდა ფინიშთან 28 წუთსა და 21,8 წამში. რაშიდ შარაფეტდინოვი (28 წუთი და 24,6 წამი) და ანატოლი ბადრანკოვი (28 წუთი და 35,8 წამი) შემდგომ ასპარეზობას გამოეთიშნენ.

სასტარტო ნომერი — 13 ბედნიერი აღმოჩნდა დანიელი ველომრბოლის ნილს ფრედბორგისათვის — მან ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო ადგილიდან 1.000 მეტრზე გიტში — 1 წუთი და 06.44 წამი. ჩვენმა ედუარდ რაპმა მეორე ადგილი დაიკავა — 1 წუთი და 07,73 წამი.

სენსაციით დამთავრდა წყალბურთელთა წინასწარი ასპარეზობა — ოლიმპიური ჩემპიონები — იუგოსლავიის სპორტსმენები დამარცხდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან შეხვედრაში — 3:5. ამერიკელებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს ხუთივე მატჩი და პირველი ადგილი დაიკავეს თავიანთ ჯგუფში. ფინალის საგზური მიიღო იუგოსლავიის გუნდმაც, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობენ აგრეთვე სსრ კავშირის, იტალიის, უნგრეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები.

დამარცხდნენ რა ირანის გუნდთან შეხვედრაში — 0:1, ბრაზილიელი ფეხბურთელები გამოეთიშნენ შემდგომ ბრძოლას. სსრ კავშირისა და მექსიკის გუნდებთან ერთად ნახევარფინალურ შეხვედრათა მონაწილენი გახდნენ უნგრეთის, დანიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მაროკოს ნაკრები კოლექტივები. უკანასკნელ წინასწარ ასპარეზობათა მიუხედავად, რომლებიც 1 სექტემბერს გაიმართება, ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის ფეხბურთელებმა.

### ჩემპიონები













სურათებზე: მარცხნივ — თანამედროვე ხუთჭიდში გამარჯვებული საბჭოთა გუნდი: კიეველი ბ. ონიშჩენკო (ცენტრში) და მოსკოველები — ვ. შმელიოვი (მარცხნივ) და პ. ლედნიოვი; ქვემოთ, მარცხნიდან — ოლღა კორბუტი და მ. კირჟინოვი (ძალოსანი); მარჯვნივ ზემოდან ქვემოთ — ზ. აბდულბეკოვი, ი. იარიგინი და ა. მედვედი.

---

## სასამართლოს დარბაზიდან

# თხილის გული...

### ანუ ამბავი იმისა, თუ როგორ გაიყო ოპერაცია „დიდი თხილით" მოპარული ათასები ოცდაცხრამეტმა ავისმქნელმა

ვის არ გაუგონია ძველი ქართული ანდაზა: ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო. მართლაც და რა ბევრისმთქმელია ეს სიტყვები. მასში ჩაქსოვილია ალალი, გამრჯე, პატიოსანი კაცის სითბო და სიყვარული.

მაგრამ ჩვენი წერილის გმირები კი პატიოსნებისაგან შორს არიან. ამ მექრთამეებს თხილის გული — ბოროტების, სახელმწიფო დოვლათის დატაცების წყაროდ გადაუქცევიათ.

მკითხველს მოვახსენებთ „დიდი თხილის" ამბავს.

საზოგადოებისათვის ეს მავნე, საშიში და ბოროტი ოპერაცია ასე დაიწყო:

ჯერ კიდევ 1967-70 წლებში „თბილხილბოსტანვაჭრობის", ხოლო შემდეგ საქხილბოსტანვაჭრობის სისტემაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის" მეშვეობით კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემიდან სამრეწველო გადამუშავების მიზნით საკონდიტრო წარმოებაში დიდი რაოდენობით დაიძრა თხილის გული, იგი უცხო ქვეყნიდან ექსპორტის სახით იყო შემოტანილი.

ისიც უნდა ითქვას, რომ თხილის ფონდები აღნიშნულ კომიტეტზე არ იყო განაწილებული. მიუხედავად ამისა, საქმოსნები სხვადასხვა გზებით შემდგომ ორგანოებში სისტემატურად აყენებდნენ საკითხს თხილის გულის ფონდის აუცილებლად გამოყოფაზე მისი სამრეწველო გამოყენებისათვის.

„საქხილბოსტანვაჭრობის" ზოგიერთმა მუშაკმა კარგად იცოდა, რომ ამ დაწესებულებას არავითარი ობიექტური შესაძლებლობა არ გააჩნდა თხილის გულის სამრეწველო გამოყენებისათვის, ისიც ცხადი იყო, რომ საერთოდ „ხილბოსტანვაჭრობაში" საწარმოო გეგმის მიხედვით არ იყო გათვალისწინებული თხილის გულის გამოყენება, არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული ტექნიკური პირობები.

ცხადია, თხილის გული არ იყო განკუთვნილი საცალო ვაჭრობის ქსელში რეალიზაციისათვის. ამიტომაც არ არსებობდა მასზე საპრეისკურანტო და ცალკეულ შემთხვევებში დამტკიცებული სახელმწიფო საცალო ფასები. მომხმარებელ ორგანიზაციებს და მათ შორის „თბილხილბოსტანვაჭრობას" და „საქხილბოსტანვაჭრობას" თხილის გული ეგზავნებოდათ საბითუმო ფასით — ერთი კილოგრამი ორ მანეთად და 24 კაპიკად.

რა ღონე არ იხმარეს საქმოსნებმა თხილის გულის ხელში ჩასაგდებად.

ჯერ კიდევ 1968 წელს „საქხილბოსტანვაჭრობის" სამმართველოს უფროსმა გ. საყვარელიძემ, როგორც „საქკონსერვხილბოსტანის" სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრმა, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სპეციალური წერილი გაუგზავნა, რომელშიც მოითხოვდა ქალაქ თბილისის, რუსთავისა და სხვა რაიონების მოსახლეობისათვის „აღმოსავლური ტკბილეულის" დასამზადებლად — 100 ტონა თხილის გულის გამოყოფას. ასეთივე შუამდგომლობა გაეგზავნა „საქკონსერვხილბოსტანის" სახელმწიფო კომიტეტს ორასი ტონა თხილის გულის გამოყოფაზე, ეს ჩვენი თხოვნა შემდგომ ორგანოებს გადაეცითო. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ ორთავე დააკმაყოფილა. მალე 250 ტონა თხილის გული სამმართველოს ბაზებში დააბანავეს.

უფრო მეტიც, სხვადასხვა შუამდგომლობებმა 1968 წლის ივნისში, ოქტომბერსა და ნოემბერში, 1969 წლის ოქტომბერსა და 1970 წლის აპრილში — თხილის გულის ტომრების მთები — 171.737 კილოგრამი დააყენეს „საქხილბოსტანვაჭრობის" ნავთლუღის საბითუმო ვაჭრობის ბაზაში.

დაოსტატებულმა საქმოსნებმა სიტყვა „გადამუშავება" მალე ხმარებიდან ამოიღეს, მოსპეს. ფეხქვეშ გათელეს სამრეწველო ნედლეულის მიწოდებისა და განაწილების ერთიანი გეგმა. თვითნებურად განსაზღვრეს ერთი კილოგრამი იმპორტული თხილის საცალო ფასი 2 მან. 70 კაპიკად, ფაქტიურად კი მაღაზიებში გაყიდვის ნაცვლად მას აძლევდნენ საგარეჯოს რაიონის დამზადების კანტორაში მოკალათებულ კომბინატორებს გასასაღებლად.

სწორედ ამ პერიოდში, 1968-1970 წლებში დასახელებული დამზადების კანტორა აწარმოებდა თხილის გულის შესყიდვას — კილოგრამს 5 მანეთად და 40 კაპიკად.

ახლა კი თვალნათლივ დაიწყო საქმოსანთა შორის გამიზნული დაუწერელი სცენარის ძირითადი კადრების — „დიდი თხილის საქმის" დადგმის გახურებული სამუშაოები.

საგარეჯოელმა კომბინატორებმა: ბადიაურის პუნქტის გამგემ გ. ობოლაშვილმა, ნმეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველებმა მ. შენგელიძემ, დ. ოზგელდოვამ, გ. შიოშვილმა და სხვებმა სახელმწიფო ქონების დატაცების მიზნით შეიმუშავეს ერთობ ორიგინალური მეთოდი: აზერბაიჯანის, ზაქათალის, ბელაქანის, კახის, შეკინსკისა და კუტკაშენის რაიონების თითქოსდა არსებული მცხოვრებლების სახელზე ადგენდნენ თხილის გულის შესყიდვის ყალბ ქვითრებს, ერთ კილოგრამს 5 მან. და 40 კაპიკად... ხოლო დასახელებული ნედლეულის შესყიდვისა და საცალო ფასების შორის სხვაობას ერთ კილოგრამზე 2 მან. და 70 კაპ. ოდენობით აჩიჩნარებდნენ.

1969 წლის ოქტომბერში საქხილბოსტანვაჭრობის სამმართველოს ნავთლუღის საბითუმო ვაჭრობის ბაზამ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროდან სამრეწველო გადამუშავებისათვის 39.950 კილოგრამი იმპორტული თხილის გული მიიღო.

— ერთი კილოგრამი ორ მანეთად და რაღაც კაპიკებად უნდა გაიყიდოს?! მერე და ცოდო არ არის ეს ოქროსფასი თხილი, ჩვენ რიგასი მაქნისი ვართ, — ერთმანეთს შესჩივლეს გურჯაანის საფირმო მაღაზიის დირექტორმა ი. დუგლაძემ, მისმა მოადგილემ მ. ტაბახმელაშვილმა, ნავთლუღის საბითუმო ბაზიდან გამოიტანეს 10.080 კილოგრამი იმპორტული თხილის გული და ჩააბარეს მთლიანად საგარეჯოს დამზადების კანტორის მუშაკებს მ. შენგელიძესა და გ. ობოლაშვილს. ასეთი კომბინაციების საფუძველზე „დიდი თხილის" ოპერაციის მონაწილე საქმოსნებმა ათასობით ჩაიჯიბეს.

ვაჟა დათუსანი! ეს სახელი საკმაოდ ცნობილი იყო კომბინატორთა წრეებში. ენაწყლიანი, გულუხვი კაცი, უმაღლესი განათლებით, საქონლის მცოდნე, თანაც ნასამართლევი. სწორედ ის იყო სული და გული რუსთავში „დიდი თხილის" ოპერაციისა.

ვ. დათუსანმა, რომელიც ჯერ რუსთავის საფირმო მაღაზიის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, შემდეგ დედაქალაქის ცენტრში დიდი მაღაზიის დირექტორი გახდა, თხილის გულის მიღებაზე ახალი ინიციატივა გამოიჩინა. დირექტორმა ო. ონიანმა მხურვალედ დაუჭირა მხარი 80 ათასი კილოგრამი იმპორტული თხილის მოპოვებაში.

ვ. დათუსანის ღრმად ჩაფიქრებულმა ოინებმა გაჭრეს. 1969 წლის 24 ნოემბერს მან „საქხილბოსტანვაჭრობის" სამმართველოს რუსთავის საფირმო მაღაზიის ნაცვლად სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სახელზე წარდგენილ შუამდგომლობაში „საქხილბოსტანვაჭრობის" არარსებული რუსთავის განყოფილება უჩვენა.

მართალია, დათუსანი სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თხილის გულის გამოყოფას სთხოვდა საფირმო მაღაზიისათვის, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ასეთის გამოყოფას ვერ მიაღწევდა, რადგან იგი განკუთვნილი იყო მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო დანიშნულებისათვის. ამიტომ მან კვაჭი კვაჭანტირაძის ფანდი იხმარა; ლამაზად დაწერილ მოთხოვნაში შეიტანა „საქხილბოსტანის" რუსთავის არარსებული განყოფილება, ამით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაკებს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ ქალაქ რუსთავის „ხილბოსტნის" განყოფილებას ჰქონდა საწარმოები, სადაც გამოიყენებდნენ თხილის გულს წარმოებისათვის.

ძმაკაცებმა „საქხილბოსტანვაჭრობის" სამმართველოდან და საგარეჯოს რაიონის დამზადების კანტორიდან დათუსანის სიყალბის გზა დაულოცეს მოსკოვისაკენ. იმპორტული თხილის დამამზადებლებზე გადაცემამ კომბინატორები ვ. დათუსანი, ო. ონიანი, გ. ობოლაშვილი, ა. გონაშვილი, და სხვანი გაახარა. მათ შეცდომაში შეიყვანეს შემდგომი ორგანოები.

ერთ-ერთი ოპერაციიდან დათუსანმა და მისმა ძმათნაფიცებმა 24 ათასი მანეთი წაჰგლიჯეს სახელმწიფოს, მაგრამ არ გაუმართლდათ ჩანაფიქრი, ეს თანხა უკლებლივ დაუბრუნდა სახელმწიფო სალაროს.

ვ. დათუსანის წყალობითვე 1970 წლის აპრილში არარსებული „სიღნაღის ხილბოსტანვაჭრობისათვის" ჩამოდგა ვაგონები, რომლებშიც 38.977 კილოგრამი იმპორტული თხილის გული იყო. მალე ა. გონაშვილისა და თ. ბენაშვილის მიერ აღნიშნული ნედლეული საგარეჯოს დამზადების კანტორაში გაიგზავნა.

მათ მოსვენება დაკარგული ჰქონდათ, ვაი თუ გაგვიგონო და დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით ახალი დანაშაული ჩაიდინეს — შეადგინეს ყალბი საგზურის ფურცლები და სასაქონლო სატრანსპორტო ზედდებულები, თითქოს და იმპორტული თხილის გული გაყიდეს ქალაქ თბილისის, რუსთავისა და გორის საკოლმეურნეო ბაზრებში.

„თბილხილბოსტანვაჭრობის" კიროვის სახელობის რაიგანყოფილების № 59 მაღაზიის უფროსმა გამყიდველმა არონ შალომის-ძე ჯანაშვილმა საგარეჯოს დამზადების ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველს ა. შიოშვილსა და ა. გოდერძიშვილს 2.000 კილოგრამი იმპორტული თხილის გული გადასცა. ამ უკანასკნელებმა „ნაცადი გზით" ჯანაშვილთან ერთად მოგებულ-მოპარული 5000 მანეთი გაიყვეს.

„დიდი თხილის" ოპერაციით გათამამებულმა ბოროტმოქმედებმა სახელმწიფოს 85. 377 მანეთი წაჰგლიჯეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ოპერაციაც თასრულდა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა საშიშ კომბინატორებს გზა მკაცრად ჩაუხერგეს.

ამ დამნაშავეთა ბნელი მოღვაწეობის სურათები ნათლად არის აღბეჭდილი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს ქვეგანყოფილების (უფროსი გ. შალამბერიძე), გამომძიებლების მ. გაბრიელიანის, ა. შანიძის, უ. იარაჯულის, შ. კვინტრაძის, შინაგან საქმეთა სიღნაღის განყოფილების უფროსის ჯ. ბურდულის, ამავე განყოფილების თანამშრომლის ს. ბარნაბიშვილის მიერ გამოძიებულ მრავალტომიან საქმეებში.

ბოროტმოქმედნი საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგნენ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ. სვანიძის თავმჯდომარეობით სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს: გ. ი. ობოლაშვილსა და მ. გ. შენგელიძეს თხუთმეტთხუთმეტი წლის პატიმრობა მიუსაჯა; ვ. ს. დათუსანს, ი. ი. დუგლაძესა და მ. ი. ტაბახმელაშვილს თორმეტთორმეტი; ა. ვ. გონაშვილს, თ. ი. ბენაშვილს და ვ. ქ. ჩხეიძეს ათ-ათი წლით პატიმრობა; ასევე მკაცრად დაისაჯნენ სხვა დამნაშავენიც.

ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯა გ. საყვარელიძეს, რომელმაც ჯეროვანი ადგილი დაიკავა „თხილის გულის" დიდ ოპერაციაში. შემდეგ კი გ. საყვარელიძემ, უკანასკნელად ოკამის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად მუშაობისას ამავე მეურნეობის მუშა ქალს მძიმე დაზიანება მიაყენა, რაც სასიკვდილო აღმოჩნდა.

ამრიგად, დამნაშავენი დაისაჯნენ. მაგრამ ამ ამბავზე წერტილის დასმა არ შეიძლება. ნუთუ წლობით მანძილზე „საქხილბოსტანვაჭრობის" სამმართველოს სისტემაში შემავალ მაღაზიებს, იაკავშირის საგარეჯოს რაიონის დამზადების კანტორას არავინ ამოწმებდა?! და თუ ამოწმებდა, თხილის გულის ჯადო ხომ არ ხიბლავდა?

ვითომ დასაჯერებელია, რომ საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი მუშაკი მარტო შუამდგომლობების ან სხვა ქაღალდების საქმეში ჩაკირებით, გულგრილი რეზოლუციებით ირთობდა თავს?

**გ. მეგრელიშვილი,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი, მაიორი.

**ა. გოცირიძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორ.

---

## ბ. სპასკი-რ. ფიშერის მატჩი



# მატჩში გაიმარჯვა ფიშერმა

რეიკიავიკი. 1 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ. ა. ერმაკოვი). მსოფლიო პირველობის საჭადრაკო მატჩის ოცდამეერთე პარტია გუშინ გადაიდო ორმოცი სვლის შემდეგ.

### XXI პარტია

ბ. სპასკი — რ. ფიშერი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 a6.

ისევ სიცილიური დაცვა, მაგრამ პირველად ამ მატჩში შავებმა გამოიყენეს პაულსენის ვარიანტი.

5. მc3 მc6 6. კe3 მf6 7. კd3 d5

უეჭველია, რომ ეს სვლა ამერიკელმა გროსმაისტერმა სპეციალურად მოამზადა. ამას ისიც მოწმობს, რომ მან სადებიუტო სტადია სწრაფ ტემპში გაითამაშა.

8. ed ed 9. 0—0 კd6 10. მ:c6 bc

ანალიტიკოსთა აზრით მხედრების ეს გაცვლა თეთრებისათვის სასარგებლო არ არის.

11. კd4 0—0 12. ლf3 კe6 13. ეfe1 c5 14. კ:f6 ლ:f6 15. ლ:f6 gf 16. ეad1 ეfd8 17. კe2 ეab8 18. b3 c4 19. მ:d5

ვინაიდან ინიციატივა ფიშერის მხარეზე არის, სპასკი კონტრთამაშის მისაღებად ხარისხს სწირავს.

19... კ:d5 20. ე:d5 კ:h2+ 21. მფ:h2 ე:d5 22. კ:c4 ეd2 23. კ:a6 ე:c2 24. ეe2 ე:e2 25. კ:e2 ეd8 26. a4 ეd2 27. კc4 ეa2 28. მფg3 მფf8 29. მფf3 მფe7 30. g4 f5

ფიშერი აპირებს გამსვლელი პაიკის მიღებას და მეტოქის მეფის ამ ფლანგზე შეჩერებას.

31. gf f6 32. კg8 h6 33. მფg3

სპასკი იცდის...

33... მფd6 34. მფf3 ეa1 35. მფg2 მფe5 36. კe6 მფf4! 37. კd7 ეb1 38. კe6 ეb2 39. კc4 ეa2 40. კe6 h5

ამ პოზიციაში პარტია გადაიდო. საბჭოთა გროსმაისტერმა თავისი მორიგი სვლა ჩაიწერა.

რეიკიავიკი, 1 სექტემბერი. (საკდესი). თამაშის განუახლებლად სპასკიმ თავი დამარცხებულად ცნო წინა დღეს გადადებულ მსოფლიოს პირველობის საჭადრაკო მატჩის 21-ე პარტიაში. ეს გადაწყვეტილება აიხსნება იმით, რომ თეთრების შემდგომი წინააღმდეგობა, როგორც ანალიზმა ცხადყო, უპერსპექტივო იყო.

ამრიგად, ფიშერმა მოიგო მატჩი ანგარიშით 12,5:8,5 და მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ჭადრაკში.

# ფეხბურთის ამბები

გაიმართა „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედო" ხარკოვში შეხვდა ადგილობრივ „მეტალისტს" და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. სხვა შეხვედრები: ოდესის „ჩერნომორეცი" — აშხაბადის „სტროიტელი" — 2:1, კიშინოვის „ნისტრუ" — ტაშკენტის „პახტაკორი" — 1:1, ლენინგრადის „დინამო" — დონეცკის „შახტიორი" — 0:3, კრივოი როგის „კრივბასი" — ფრუნზეს „ალგა" — 3:1, ზაპოროჟიეს „მეტალურგი" — დუშანბეს „პამირი" — 1:0, იაროსლავლის „შინიკი" — ნალჩიკის „ავტომობილისტი" — 3:0, ყარაგანდის „შახტიორი" — პერმის „ზვეზდა" — 1:1, ივანოვოს „ტექსტილშჩიკი" — ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 3:0.

კამენსკი-შახტინსკი. ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი გუნდების საკავშირო ნახევარფინალურ ტურნირში თბილისის ფეხბურთის ახალგაზრდული სკოლის გუნდმა მესამე მატჩში დაამარცხა გორკის „ლოკომოტივი" — 4:1 (ზ. გაგუა — 2, რ. შელია, ო. გიგოლაშვილი) და ერევნელი თანაკლუბელები — 3:1 (გ. ივანოვი, ო. გიგოლაშვილი, თ. ჩხაიძე), ახლა თბილისელებს დარჩენილი ერთი ასპარეზობის შედეგის მიუხედავად განაღდებული აქვთ ფინალის საგზური.

---

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

#### 2 სექტემბერი

**პირველი პროგრამით**

10.05 — ფერადი ტელევიზია — „ტანვარჯიში ყველასათვის" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში (სტუდიაში პროფესორი ელიზბარ წითლანაძე), 11.50 — კინონარკვევი „თოლიები მშვიდობის ზღვაზე", 12.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიეტნამი იმარჯვებს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — ფერადი ტელევიზია „ზაფხულის მეოცე ოლიმპიურ თამაშებზე" (გადმოცემა მიუნხენიდან), 15.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოდარბაზი ბავშვებისათვის", 17.30 — ფერადი ტელევიზია. „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.05 — „ხუთწლედი მოქმედებაში", 19.25 — კინონარკვევი — „შენი ჩუქურთმიანი მოაჯირი", 19.35 — მოძმე რესპუბლიკების კინოხელოვნება — მოლდავეთი, 20.25 — კინონარკვევი — „საჭიროა და სასარგებლო", 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია ზაფხულის მეოცე ოლიმპიურ თამაშებზე (გადმოცემა მიუნხენიდან).

**მეორე პროგრამით**

19.05 — დოკუმენტური ფილმი — „ჰორიზონტი", 20.05 — მუსიკალური პროგრამა, 20.35 — მხატვრული ფილმი „წვეულება იტალიელებთან ერთად".

#### 3 სექტემბერი

**პირველი პროგრამით**

10.05 — ბავშვებისათვის — „დილის ვარჯიში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მალვიძარა") (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფერადი ტელევიზია საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეიში სსრ კავშირი-კანადა (გადმოცემა კანადიდან), 13.00 — ფერადი ტელევიზია. „ზაფხულის მეოცე ოლიმპიურ თამაშებზე" (გადმოცემა მიუნხენიდან), 15.00 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 15.30 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოდარბაზი" ბავშვებისათვის. 17.10 — „ეთერშია ახალგაზრდობა", 17.40 — „კინოაფიშა", 18.00 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — საესტრადო კონცერტი, 19.40 — გადაცემა სპორტულ თემაზე (განმეორებით), 20.00 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 20.10 — „კინოპანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია — „ზაფხულის მეოცე ოლიმპიურ თამაშებზე" (გადმოცემა მიუნხენიდან).

**მეორე პროგრამით**

19.05 — დოკუმენტური ფილმი „კავკასიელი ნადადან", 20.00 — მუსიკალური პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მამაკაცებს ცრემლი არ შეშვენით".

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

---

კატარებს

შოთა ამირანაშვილი.

### კვირა რომ არა

იმ დღეს სადღაც გაცივდა და
სიცხე მისცა თამაზს;
სახლში ბებო იყო ხოლმე,
ის ასმევდა წამალს.
კვირას დედამ რომ დაუსხა,
აარიდა პირი,
წამალს ახლოს არ იკარებს,
უარობს და ტირის.
— აჰა, ჩემო კარგო ბიჭო,
ჩემო სანაქებო,
ეს იგივე წამალია,
რომ გასმევდა ბებო.
— ბებოს ხელი უკანკალებს,
ოვრის და ვერა ხვდება,
რომ კოვზიდან დასალევი
არაფერი რჩება.

### „საპატიო" მიზეზი

ამ ბოლო დროს
დავალებებს
რატომ არ წერ, გოჩა?
ავად არის პაპაჩემი,
ვერა და ვერ მორჩა.

### ჯილდო

ბებიამ უთხრა შვილიშვილს:
შენ გამახსენო, იქნება:
ორს ერთი რომ მივუმატოთ,
ნეტავ რამდენი იქნება?
სამი, — მიუგო პაწია
ბიჭუნამ დაუფიქრებლად.
— ჩემო ჭკვიანო ზაზული,
დაიმსახურე შექება,
ჰოდა, ამისთვის ჯეთავყვა,
სამი კამფეტი გერგება.
— მე კი მეგონა, ბებიკო,
რომ მართალ პასუხს
ითხოვდი.
ეგ რომ მცოდნოდა, მაშინ
ხომ
ხუთია-მეთქი, ვიტყოდი.

### დღიური

მამა მოვიდა თუ არა,
წინ შეეგება გელა:
— არ შეიძლება, მამიკო,
თვალდახუჭული წერა?
— კი შეიძლება, შვილიკო,
სულაც არ არის ძნელი.
— მაშ, აჰა, ჩემი დღიური
და მომიწერე ხელი.

### მშენებელი

აივანზეა მამუკა,
სახლებს აშენებს აგურით,
ჩაქუჩით უმტვრევს
ნაპირებს,
ოთახშიც აღწევს ხმაური.
— ხომ იცი, მამას რომ
სძინავს,
ჩაქუჩს ნუ ურტყამ აგურებს:
— არა უშავს რა, დიდიკო,
ჩურჩულით დავაკაკუნებ.

### ზარი

სკოლიდან მოსულ პაატას
იმედით ჰკითხა დედამ:
— აბა რომელი საგანი
მოგწონს ყველაზე მეტად?
— ცხადია, ზარი, დედიკო,
რა კითხვა უნდა ნეტავ?!

### ზურიკოს ბარათი

რად ჩაჰყურებ ფანქრით
ხელში
ქაღალდს ასე დიდხანს?
წერილს მივწერ მანანას და
ბებოს მოვიკითხავ.
წერა რომ არ შეგიძლია,
როგორ დაწერ, მითხარ?
არაფერი დაშავდება,
არც მან იცის კითხვა.



შ. ცხადაძის ნახატი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04600

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.